ეროვნული ბიბლიოთეკა

სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 17 ივნისი 2006 №137 (2759) ფასი 50 თეთრი

პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

არგენტინამ გოლი დაიძახა!



AFP გელ ზენკირხენბერგან



ექვსი: ეს იგივეა, რაც სექსი

მსოფლიოს თასი. გერმანია 2006

9 ივნისი
9 ივლისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

D ჯგუფი. II ტური

მექსიკა 0:0 ანგოლა

№23. 16 ივნისი. 23.00. ჰანოვერი. „AWD არენა". 43 000 მაყურებელი

შეცვლა: ზინია – 21. არელანო (52), მატეუში – 9. მანტორაში (68), ფიგეირედო – 15. რუი მარკეში (73), ფრანკო – 17. ხ. ფონსეკა (74), პინედა – 11. რ. მორალესი (78), ზე კალანგა – 6. მილოი (83)

გაფრთხილება: დელგადო (13), ანდრე მაკანგა (44), ზე კალანგა (50), პინედა (59), ანდრე მაკანგა (79), ჟოაო რიკარდო (86)

გაძევება: ანდრე მაკანგა (79)

მსაჯები: შამსულ მაიდინი (სინგაპური); პრაჩია პერმპანიჩი (ტაილანდი), ეისა ღულუმი (საამიროები)

20	ჯარიმა	22
6	კუთხური	5
13	კარისკენ დარტყმა	8
8	კარში დარტყმა	1
0	თამაშგარე	8

პარადოქსები მექსიკამ ანგოლას ვერ მოუგო. საქართველოში ოპერაციები გაძვირდა

ჟოაო რიკარდოს ყოჩაღობა „ბუდვაიზერმაც" დაუფასა

გუშინდელი დღე პარადოქსებით იყო სავსე: რუსთავში შენობის დასანგრევად მეხანძრეები გამოიძახეს, თუ ძმები ხართ, წყალი შეასხურეთ, ეგებ დაინგრესო. სრულიად საქართველოში სამედიცინო ოპერაციათა ფასი სასაცილომდე იაფი ყოფილა და პაციენტები სიცილით რომ არ დახოცილიყვნენ, გააძვირეს. ჰანოვერში კი მექსიკამ ვერაფერი დააკლო ანგოლას.

ჩვენ ყურადღებას ამ ამბავთაგან ყველაზე გასაკვირს, ანგოლელთა ვაჟკაცობას მივაპყრობთ.

თუმცა გამოჩნდებიან ისეთებიც, რომლებიც იტყვიან, ლუიშ ოლივეირა გონსალვეშის გუნდს გერმანიაში დასაკარგი არაფერი აქვს და რა გასაკვირია, ასე მედგრად რომ იბრძვიანო. მეორენი დასძენენ, ეს ის ანგოლელები არიან, პორტუგალიამ რის ვაი-ვაგლახით რომ მოუგო...

აი, მექსიკელებისგან კი ყველა გაცილებით მეტს ელოდა. ბოლოს და ბოლოს, მექსიკა ბოლო ხუთი მუნდიალიდან ოთხში ჯგუფიდან გავიდა. იმ ერთხელაც, 1990-შიც, ახალგაზრდული ნაკრების რომელიღაც ფეხბურთელს ასაკი ჰქონოდა გადაკეთებული და ეროვნული გუნდიდან ამიტომ მოკვეთეს მსოფლიოს ჩემპიონატიდან.

მოკლედ, მექსიკა უდავო ფავორიტი იყო.

დიახ, იყო, მაგრამ მექსიკელებს ფავორიტობისა არაფერი დასტყობიათ და მათი უილაჯო თამაშის შემხედვარე ლამის ტელევიზორთან ჩამოგვეყვინთა. ხოლო ის ფაქტი, რომ ანგოლელთა მეკარე ჟოაო რიკარდო „ბუდვაიზერმა" მატჩის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელა, სულაც არ მიგვანიშნებს, რომ მექსიკა ანგოლას თავზე აჯდა და მხოლოდ მეკარის გმირობის გამო ვერ გაუტანა. ამერიკელთა ზეობა აფრიკელებზე ვერც მას მერე გამოიკვეთა, რაც ანგოლას ანდრე გაუძევეს უმტკივნეულო ეპიზოდში ხელით ყოვლად სულელური თამაშის გამო.

არადა, თამაში ისე დაიწყო, კაცს ანგოლელთა პირველი თამაში გაახსენდებოდა. მაშინ ევროპის ვიცეჩემპიონებმა უცებ მოუთავეს საქმე აფრიკელებს და მერე ბრძოლით თავი აღარ მოუკლავთ.

ამ ჯერზეც თამაშის დასაწყისი ანგოლელთა მეტოქისა იყო, ჯერ კარლოს სალსიდომ გაისროლა სახიფათოდ, მერე პაველ პარდომ, კაპიტანმა რაფაელ მარკესმა კი სულაც ძელს გაარტყა ბურთი.

ეს სამი ეპიზოდი საწყისი 14 წუთისა იყო, რის მერეც, ტაიმის ბოლომდე მექსიკელებს აღსანიშნავი არაფერი გაუკეთებიათ.

მეორე ტაიმიც დიდად არ განირჩეოდა პირველისაგან. ერთი ეგ იყო, რაც დრო გადიოდა, ძილქუში უფრო გვეკიდებოდა.

ჩვენი აზრით, თამაშზე საინტერესო მატჩის შემდგომი პრესკონფერენცია იყო, რომელზეც მექსიკელთა მწვრთნელმა რიკარდო ლავოლპემ უცილობელი ჭეშმარიტება წარმოთქვა: „როცა ბურთი კარში არ გადის, მატჩი ფრედ მთავრდება." ამის მერე ლავოლპემ თქვა, მესამე ტურის თამაშზე ფიქრს აზრი არ აქვს, ვიდრე პორტუგალია — ირანის მატჩის შედეგი არ გვეცოდინება, ტაქტიკას კი ამის მერე შევიმუშავებთო.

მექსიკელთა მეკარე ოსვალდო სანჩესმა კი აღნიშნა, ვეჭვობ, ვინმე კმაყოფილი დარჩენილიყოს ამ ფრით, ისე კი, მომენტები მხოლოდ ანგოლელთა კართან იქმნებოდა, ჩემთან ერთიც არ შექმნილაო.

და ამ განცხადების ანგოლური პასუხიც. ლუიშ გონსალვეში: „თამაშს ჩვენ ვაკონტროლებდით. ეს ფრე კი იმის ნიშანია, რომ ანგოლა მსოფლიოს ჩემპიონატზე რჩება და ძალიან კარგი, ბრძოლისუნარიანი გუნდის შენებას განაგრძობს."

გიორგი დარჯანია

ვაზუსტებთ

თანაბარი ქულების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება:
1 ჯგუფურ მატჩებში ბურთების უკეთეს სხვაობას
2 ჯგუფურ მატჩებში გატანილ მეტ გოლს
3 ურთიერთშეხვედრებს

მექსიკა	2	1	1	0	3:1	4
პორტუგალია	1	1	0	0	1:0	3
ანგოლა	2	0	1	1	0:1	1
ირანი	1	0	0	1	1:3	0

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს. D ჯგუფი. II ტური

პორტუგალია — ირანი

ფრანკფურტი. „ვალდშტადიონი“. 17.00

1. რიკარდუ; 13. მიგელი, 5. ფ. მეირა, 16. რ. კარვალიუ, 14. ნუნუ ვალენტე; 7. ფიგუ, 8. პეტიტი, 18. მანიშე, 11. სიმაო; 17. კ. რონალდუ, 9. პაულეტა. მწვრთნელი: ლუიშ ფელიპე სკოლარი	1. მირზაპური; 4. გოლმოჰამადი, 13. კაები, 5. რეზაეი, 20. ნოსრატი; 6. ნეკუნამი, 14. თეიმურიანი; 2. მაჰდავიკია, 9. ჰაშემიანი, 8. ქარიმი; 15. ბორჰანი. მწვრთნელი: ბრანკო ივანკოვიჩი

მსაჯი: ერიკ პულა (საფრანგეთი)

ფიგუ შეწირეს

პორტუგალიელთა ერთ-ერთმა ლიდერმა დეკომ ტრავმა მოიშუშა, მაგრამ ლუიშ ფელიპე სკოლარი მას, ალბათ, დაასვენებს, ანაც მოგვიანებით ჩართავს თამაშში — ბრაზილიელი 4-4-2-ით ითამაშებს. პლეიმეიკერად ლუიშ ფიგუ მოგვევლინება, რომელიც მარჯვენა ფლანგს სიმაო საბროსას დაუთმობს. წინ კი პედრო პაულეტა და კრიშტიანუ რონალდუ იქნებიან.

ირანელებს სერიოზული პრობლემები შეექმნათ. აზიელთა კაპიტანი და ლიდერი ალი დაეი დაშავდა. ლაზარეთშია ფერიდონ ზანდიც. ფაქტობრივად, გადაწყვეტილია, რომ ლუზიტანებთან ვერც ერთი მათგანი ვერ ითამაშებს. მცირე ტრავმები აქვთ მეჰდი მაჰდავიკიასა და ალი ქარიმის, მაგრამ, ექიმების თქით, ორივე მწყობრში იქნება. ბრანკო ივანკოვიჩი საკმაოდ საინტერესო ტაქტიკით 4-2-3-1-ით აპირებს თამაშს. სერბს სხვა არჩევანი არ რჩება, მის გუნდს დასაკარგი აღარაფერი აქვს.

„რთული მატჩი გველის. მსოფლიო ჩემპიონატზე ადვილი შეხვედრები არ არსებობს. ეს თამაში ორივე ნაკრებისთვის მნიშვნელოვანია“ — თქვა პორტუგალიელთა კაპიტანმა ლუიშ ფიგუმ.

ბრანკო ივანკოვჩი: „პორტუგალიას ჩინებული მოთამაშეები ჰყავს, და ცხადია, ფავორიტად ითვლება, მაგრამ მუნდიალზე ყველაფერი შეიძლება მოხდეს და ჩვენც წარმატების მიღწევას ვეცდებით“.

საინტერესოა, რომ პორტუგალიას მსოფლიოს ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპი 40 წელია, არ დაუძლევია. 1966 წელს ეუსებიოს დროინდელმა ნაკრებმა ნახევარფინალს უწია. 1998 და 2002 წლებში კი ლუზიტანები ჯგუფში ჩარჩნენ. თუმცა ახლა საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ უნდა დაარღვიონ ეს ტრადიცია.

კოკი კანდელაკი

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

დაბალი ტარიფები საქალაქთაშორისო და მობილურ საუბრებზე

დარეკეთ ქალაქის ტელეფონიდან მაგთიზე და ჯეოსელზე 25 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება თბილისის მასშტაბით)

საქართველოს რეგიონებში 12 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება საქართველოს მასშტაბით)

დროის წამობრივი აღრიცხვა

აკრეფვის წესი:
მობილურ ტელეფონზე დასარეკად
8-100+ მობილური ოპერატორის კოდი (99,98,95;77,93,55)
+ აბონენტის ნომერი
საქართველოს რეგიონებში
8-100+ ქალაქის კოდი+ აბონენტის ნომერი

8-100

ისაუბრეთ მეტი, გადაიხადეთ ნაკლები

რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge

ნუ გამოტოვებთ გადამწყვეტ გოლს!

სიახლე! ჯეოსელისა და ლაი-ლაის აბონენტთათვის.

GEO ჯეო გოლი

გააგზავნეთ SMS-ი ნომერზე 2006
და გამოიწერეთ ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის განმავლობაში სრული ინფორმაცია ყველა მატჩისა და გატანილი გოლის შესახებ.

ფასი: 5 ლარი

აღნიშნული ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მხოლოდ აქტიურ ნომრებზე.

ან ეწვიეთ Geogoli-ს wap.geocell.com.ge-ზე
და გადმოწერეთ:
ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის ცხრილი,
მატჩების ანგარიშები,
ფეხბურთელების ფერადი სურათები,
გატანილი გოლების ვიდეო რგოლები,
ქვეყნის ჰიმნები.

FIFA WORLD CUP GERMANY 2006

ყველა, ვინც კი კარგ გოლს ელის ერთგულია ჯეოსელის

© 2002 FIFA TM

www.geocell.ge

მსოფლიოს თასი. გერმანია 2006

9 ივნისი
9 ივლისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

C ჯგუფი. II ტური

არგენტინა 6:0 სერბეთი

№21. 16 ივნისი. 17.00. გელზენკირხენი. „აუფ შალკე". 52 000 მაყურებელი

1:0 მაქსი როდრიგესი (6), 2:0 კამბიასო (31), 3:0 მაქსი როდრიგესი (41), 4:0 კრესპო (78), 5:0 ტევესი (84), 6:0 მესი (88)

1 აბონდანსიერო

მწვრთნელი
ხოსე პეკერმანი

21 ბურდისო — 2 აიალა — 6 ჰაინცე — 3 სორინი

8 მასკერანო

22 ლუჩო გონსალესი — 18 მაქსი როდრიგესი

10 რიკელმე

7 სავიოლა — 9 კრესპო

8 კეჟმანი — 9 მილოშევიჩი

7 კოროմანი — 11 პ. ჯორჯევიჩი — 10 სტანკოვიჩი — 17 ნადი

15 დუდიჩი — 20 კრსტაიჩი — 6 გავრანჩიჩი — 4 დულიაი

მწვრთნელი
ილია პეტკოვიჩი

1 ჟევრიჩი

შეცვლა: ლუჩო გონსალესი – 5. კამბიასო (17), ნადი – 2. ერგიჩი (46), კორომანი – 21. ლიუბოია (50), სავიოლა – 11. ტევესი (59), მილოშევიჩი – 18. ვუკიჩი (70), მაქსი როდრიგესი – 19. მესი (75)

გაფრთხილება: კორომანი (7), ნადი (27), კრესპო (36), კრსტაიჩი (42)

გაძევება: კეჟმანი (65)

მსაჯები: რობერტო როზეტი;
კრისტიანო კოპელი, ალესანდრო სტანოლი (იტალია)

14	ჯარიმა	22
3	კუთხური	4
11	კარისკენ დარტყმა	4
9	კარში დარტყმა	1
3	თამაშგარე	0

მაქსი როდრიგესი დუბლით გამოირჩა

არგენტინა გამხეცდა
რა ბიჭი ჰყავს პატარკაციშვილს!

არა, მაინც რა იყო ეს?! არგენტინა რომ გუნდია, არც არავის ეპარებოდა ეჭვი. სამხრეთამერიკელები სერბეთთან მატჩშიც ფავორიტებად ითვლებოდნენ. იმ სერბეთთან, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ერთადერთი გოლი რომ ჰქონდა გაშვებული, ფინალური ეტაპის პირველი შეხვედრის წაგების შემდეგ უკანდასახევი გზა მოჭროდა და თანაც კაპიტან სავო მილოშევიჩისთვის მეასე სანაკრებო მატჩი ჰქონდა მისალოცი. 6:0-ს ფავორიტობა აღარ ჰქვია. არგენტინის ნაკრებმა წერტილოვანი დარტყმებით დაბომბა სერბეთი და ჩემპიონატის ფავორიტთა შორისაც ფავორიტად იქცა.

ხოსე პეკერმანმა თითქმის იგივე შემადგენლობა გამოიყვანა მოედანზე, რომლითაც სასტარტო შეხვედრაში დიდიე დროგბას კოტ დივუარს დააყრევინა ფარხმალი. ერთადერთი, ივან კამბიასოს მაგიერ ლუჩო გონსალესი გაამწესა სასტარტოში, რაც უფრო შეტევაზე აქცენტის გაკეთებას ნიშნავდა. ბარემ აქვე ვთქვათ, რომ თხუთმეტიოდ წუთში გონსალესმა ტრავმა მიიღო და იმავ კამბიასოთი ჩაანაცვლეს. შეტევაზე კი არგენტინელებს გუშინ აქცენტი კი არა, ძახილის ნიშანი ჰქონდათ დასმული. არავითარი ფაფხური და ძალდატანება — მათი თითოეული შეხება ბურთთან, თითოეული პასი, მრავალსვლიანი კომბინაცია გენიალურობამდე ძალდაუტანებელი და ბუნებრივი იყო.

არგენტინელთა ექვსი გოლიდან არც ერთი სტანდარტულ მდგომარეობას ან უბრალოდ ფლანგურ ჩაწოდებას არ მოჰყოლია, გააზრებული მრავალსვლიანი კომბინაციის შედეგი იყო. თავად განსაჯეთ: ექვსიდან ხუთჯერ გოლის ავტორს ერთი შეხება, ერთი დარტყმაღა დასჭირდა მეტოქის კარის დასალაშქრად. მეხუთე გოლს რაც შეეხება, ინდივიდუალური ოსტატობის ნამდვილი ნიმუში იყო, ისეთი, ტრიბუნაზე რიგით გულშემატკივართა შორის მოკალათებულ დიეგო არმანდოს რომ ეკადრებოდა. ჯერ ერთი მცველის ფეხებში გატარებული ბურთი, მერე უკან მოტოვებული მეორე და შორეულ კუთხეში დამიზნებით მოჭრილი დარტყმა — კარლოს ტევესი, მეტსახელად „მხეცი"! ჩვენ კი, ქართველებს, არგენტინელთა სიხარულში ჩასაზიარებლად ისიც გვეყოფა, რომ ეს ბიჭი ბადრი პატარკაციშვილის ბრაზილიურ „კორინთიანსში" თამაშობს.

მარტო ტევესი რა ბედენაა, როცა მოედანზე გყავს ერნან კრესპო. ბევრი საფეხბურთო მეგავარსკვლავისგან განსხვავებით (ტიერი ანრის მაგალითიც კმარა), კრესპოს თამაში ეროვნული ნაკრების მაისურით უფრო შთამბეჭდავი და ლაღია, ვიდრე, ვთქვათ, „მილანში" ან „ჩელსიში". აკი ამადაც მიითვალა წყვილი გოლი და ქუსლით შესრულებული საგოლე პასი.

დუბლი შეასრულა მადრიდის „ატლეტიკოს" მაქსი როდრიგესმა, ვინაც ვარსკვლავი არა, უბრალოდ კარგი ფეხბურთელია, მაგრამ გუშინ ფრთები ჰქონდა გამოსხმული.

ზემოთ ერნან კრესპოს ქუსლური საგოლე პასი რომ ვახსენეთ, მადრიდის რეალგამოვლილმა და დღეს მილანის „ინტერისთვის" მოღვაწე ივან კამბიასომ აქცია გოლად.

და ლეო მესი... 15 წუთში გოლი და საგოლე პასი თავისთავად ბევრს ნიშნავს, მაგრამ როცა მოედანზე შენს გამოჩენას თვით დიეგოც კი ბავშვური აღტყინებით ხვდება, ნაკლების უფლებაც არ გაქვს.

დღემდე ნანახთაგან არგენტინელთა შეტევა ყველაზე უფრო მძლავრი და თავბრუდამხვევია, თუმცა არც საკუთარი საჯარიმოს მისადგომებთან ჩანან პეკერმანის ბიჭები ჯაბანნი, გუშინდელ სერბეთს ლამის ერთი ხუან პაბლო სორინი ეყო. სლავთა გუნდი ასეთი დემორალიზებული ალბათ არც არასოდეს გვინახავს. მეორე ნახევარში წითელ ბარათად შეფასებული მატეა კეჟმანის ტყუპწიხლა ვარდნა ფსიქოლოგიური შოკის ნიშანი უფრო იყო, ვიდრე ბრძოლის ჟინის გამოხატულება. მალევე მილოშევიჩმაც მოითხოვა შეცვლა. ეს სრული კაპიტულაცია იყო. ტაბლო ჯერ „მხოლოდ" 0:3-ს აჩვენებდა.

სერბეთი და ჩერნიგორია, როგორც ერთიანი სახელმწიფო, აღარ არსებობს. საფეხბურთო ნაკრები ოდინდელი ერთიანობის ლამის უკანასკნელი გამოხატულება იყო. გუშინ ისიც დაიმსხვრა.

ხოსე პეკერმანი: „არგენტინას აქვს მიზანი, რომელსაც უნდა მიაღწიოს. შეგვიძლია, თამამად გავაგრძელოთ გზა და მომავალს იმედით ვუყურებთ. სერბებს მოგება აუცილებლად სჭირდებოდათ, მაგრამ პირველმა და სწრაფმა გოლმა ისინი ძალიან დააბნია. ახლა ჰოლანდიასთან ღირსეულად სათამაშოდ გვმართებს მომზადება. ფეხბურთში პროგნოზები ყოველთვის იყო. ჩემპიონატის დაწყებამდე ჩვენს ჯგუფს „სიკვდილის ჯგუფი" უწოდეს. უნდა დაგვემტკიცებინა, რომ ასეთ ძლიერ მეტოქეებსაც კი ვაჯობებდით და კიდეც ვაჯობებთ".

ესტებან კამბიასო: „შეცვლაზე შესულმა მალევე გავიტანე და გუნდური თამაშიც კარგად წაგვივიდა. ეს ორი მოგება ჯერ არაფერს ნიშნავს. გრძელი და რთული გზა გვაქვს გასავლელი, რომელიც ახლა იწყება".

კარლოს ტევესი: „როცა გუნდი კარგადაა შეთამაშებული, სასურველ შედეგს აუცილებლად მიაღწევს. საუცხოო კომბინაციური ფეხბურთი ვაჩვენეთ და მეამაყება, რომ ასეთი დიდებული ფეხბურთელების გვერდით ვთამაშობ".

გიორგი ნოზაძე

არგენტინა	2	2	0	0	8:1	6
ჰოლანდია	2	2	0	0	3:1	6
კოტ დივუარი	2	0	0	2	2:4	0
სერბეთი	2	0	0	2	0:7	0

მსოფლიოს თასი. გერმანია 2006

9 ივნისი
9 ივლისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

C ჯგუფი. II ტური

სპილოს ძაძები ნარინჯისფერია

ორივე ნაკრებმა იცოდა, რომ C ჯგუფის ლიდერმა არგენტინამ სერბეთი 6:0 გაანადგურა, რითაც, ფაქტობრივად, გაინაღდა მერვედფინალში გასვლა.

მეორე საპლეიოფო საგზური კი სწორედ ამ შეხვედრაში თამაშდებოდა. შეხვედრაში, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე კარგი სანახაობრივი გამოდგა მსოფლიოს ჩემპიონატზე და ნებისმიერ ნეიტრალურ ქომაგს ალალად დასწყდებოდა გული, რომ ჯგუფური ეტაპის მერე გერმანია ჰოლანდიას ან კოტ დივუარს უნდა დაეტოვებინა.

ცხადია, უკეთეს სიტუაციაში ევროპელები იყვნენ — პირველი თამაში მოგებული ჰქონდათ. ჰოლანდიამაც ისე დაიწყო...

აფრიკელებმა საწყის შტურმს გაუძლეს და თავადაც გააქტიურდნენ. მალევე პირველი ხიფათიც შექმნეს — ჯოვანი ვან ბრონკჰორსტმა მაისურაზე დაქაჩა ემანუელ ებუს და მსაჯმა საკმაოდ საეჭვო ეპიზოდი საპენალტედ არ შეაფასა. მოგვიანებით არუნა კონემ ოდნავ ააცილა.

ჰოლანდია რობინ ვან პერსის ყოჩაღობით დაწინაურდა — ლონდონის „არსენალის" შემტევმა თავისივე წაქცევისთვის დანიშნული ჯარიმა ძლიერად დაარტყა და 1:0.

ნარინჯისფერებმა ოთხ წუთში მეორეც გაიტანეს — რობენმა კარგად მიაწოდა რუუდ ვან ნისტელროის, რომელმაც აფრიკელთა განაპირა მცველის დაუკვირვებლობით თამაშგარეს თავი დააღწია, მეკარესთან პირისპირ დარჩა და გატანა აღარ გასჭირვებია — 2:0.

აფრიკელები არგენტინასთანაც ასე აგებდნენ, მაგრამ არც მაშინ გატყდნენ და არც ახლა: ჯერ დიდიე ზოკორას შორეული დარტყმა მოხვდა ხარიხას, მერე კი ბაფარი კონეს არანაკლებ ლამაზი დარტყმული ბურთი შორეულ მაღალ ცხრიანში შეფრინდა და... 2:1 — ინტრიგამ იმატა, რა იმატა...

შესვენებამდე კოტ დივუარს კიდევ ჰქონდა რამდენიმე მომენტი, რომელთაგან განსაკუთრებით ერთი უნდა გამოვარჩიოთ — დიდიე დროგბამ სწრაფი კონტრიერიში წამოიწყო, ნახევარი მოედანი გაირბინა და საჯარიმოსთან მისულს ან თავად უნდა დაერტყა, ან იქვე მყოფი კონესთვის უნდა გადაეწოდებინა ბურთი. „სპილომ" არ „ილორა", მაგრამ... პასი არ გამოუვიდა — მის წინ მყოფ ერთადერთ მცველს ვერ ააცილა ბურთი...

იქამდე კი დროგბამ ვან დერ სართან უხეშობის გამო ყვითელი ბარათი მიიღო და სერბეთთან მატჩის გამოტოვება მოუწევს, რადგან არგენტინასთან შეხვედრაშიც გააფრთხილეს.

მეორე ტაიმიც ორმხრივ იერიშებში გაილია. უფრო აფრიკელები უტევდნენ და გოლის გასატანად ცდა არ დაუკლიათ. ჰოლანდიელებს კი ერთი რეალური მომენტი ჰქონდათ, როდესაც რობენის დარტყმული მეკარემ მოიგერია, ხოლო ვან ნისტელროის მცველი გადაელობა.

ბოლო 20-25 წუთი ჰოლანდია ანგარიშის შენარჩუნებაზე ზრუნავდა — მარკო ვან ბასტენმა ერთადერთი გამოკვეთილი ფორვარდი ვან ნისტელროი დენი ლანძაატით შეცვალა და ნახევარდაცვა გაამაგრა. იქამდე მინდორზე ტრავმამოშუშებული რაფაელ ვან დერ ვაარტიც გამოვიდა, რომელმაც ბევრით ვერაფრით გამოიჩინა თავი...

მოკლედ, ჰოლანდიელებმა მიზანს მიაღწიეს და მერვედფინალის საგზურიც ვადამდე გაინაღდეს, კოტ დივუარმა კი აშკარად უძლიერესი აფრიკული ნაკრების შთაბეჭდილება დატოვა — ანრი მიშელის შეგირდებმა საკმაო სიმპათიები დაიმსახურეს, თუმცა თავდაუზოგავი მცდელობების მიუხედავად, ბოლო მომენტში რაღაც აკლდებოდათ. ამ რაღაცას ალბათ კლასი ჰქვია...

გიორგი ძაძამიძე

ჰოლანდია 2:1 კოტ დივუარი

№22. 16 ივნისი. 20.00.შტუტგარტი. „გოტლიბ დაიმლერ სტადიონი". 52 000 მაყურებელი

1:0 ვან პერსი (23), 2:0 ვან ნისტელროი (27), 2:1 ბ. კონე (38)

1 ვან დერ სარი

მწვრთნელი
მარკო ვან ბასტენი

14 ჰეიტინგა | 13 ოიერი | 4 მატიისენი | 5 ვან ბრონკჰორსტი

18 ვან ბომელი | 8 კოკუ | 20 სნეიდერი

17 ვან პერსი | 11 რობენი

9 ვან ნისტელროი

11 დროგბა | 9 ა. კონე

22 რომარიკი | 14 ბ. კონე

5 ზოკორა | 19 ი. ტურე

3 ბოკა | 12 მეიტე | 4 კ. ტურე | 21 ებუ

მწვრთნელი
ანრი მიშელი

1 ტიზიე

შეცვლა: ჰეიტინგა – 3. ბულარუზი (46), სნეიდერი – 10. ვან დერ ვაარტი (50), ბ. კონე – 10. იაპი იაპო (62), რომარიკი – 15. დინდანე (62), ა. კონე – 2. აკალე (73), ვან ნისტელროი – 6. ლანძაატი (73)

გაფრთხილება: ზოკორა (25), რობენი (34), მატიისენი (35), დროგბა (41), ვან ბომელი (58), ბოკა (66), ლანძაატი (90)

მსაჯები: ოსკარ რუისი (კოლუმბია); ფერნანდო ტამაიო (ეკვადორი), ხოსე ნავია (კოლუმბია)

24	ჯარიმა	15
3	კუთხური	8
9	კარისკენ დარტყმა	16
8	კარში დარტყმა	9
6	თამაშგარე	4

მსოფლიოს თასი. გერმანია 2006

9 ივნისი
9 ივლისი

დღეს. E ჯგუფი. II ტური

ამერიკული დავთარი

არენამ ჩეხეთი გადაფურცლა

ბოლო ორ დიდ ტურნირზე იტალიის ნაკრები სახელოვან მეტოქესთან ბრძოლაში არ დამარცხებულა. 2002 წლის მუნდიალი იყო და კორეამ გამოაგდო, 2004 წლის ევროპის ჩემპიონატზე კი ჯგუფში ჩარჩა. ერთი სიტყვით, იმის თქმა გვინდა, რომ დღეს „სკუადრა აძურა“ აშშ-სთან ფრთხილად უნდა იყოს და მეტოქეს ალმაცერად არ უნდა შეხედოს.

ეს ხუმრობით, თორემ სინამდვილეში იტალიელები, ცხადია, სრულიად სერიოზულად იქნებიან რაგინდარა მეტოქესთან საბრძოლველად განწყობილნი.

შეგახსენებთ, რომ პირველ ტურში მარჩელო ლიპის მოთამაშეებმა განას სძლიეს 2:0, ხოლო ამერიკელებმა ჩეხებთან წააგეს 0:3.

იტალიის ნაკრების თავდამსხმელი ალბერტო ჯილარდინო: „ამ შეხვედრას ზედაპირულად ნამდვილად არ ვუყურებთ. აშშ-ის ნაკრებისთვის ეს იქნება სასიცოცხლო მნიშვნელობის თამაში, ვინაიდან მან პირველ შეხვედრაში ჩეხებთან წააგო და კარგად მოეხსენება, რომ მეორე წაგება ჩემპიონატის დამთავრებას ნიშნავს. ჩვენი პოზიცია კი ასეთი გახლავთ: ამ შეხვედრაში მორიგი სამი ქულაა მოსაპოვებელი, ხოლო სამი ქულის მოპოვებას სრული მობილიზაცია სჭირდება. ამერიკა ის გუნდია, რომელსაც ბურთის მოპოვება-გათამაშება უყვარს, მაგრამ ჩვენც გვაქვს ჩვენი დადებითი მხარეები და მათ დავუპირისპირებთ“.

მარჩელო ლიპი

იტალია — აშშ

კაიზერსლაუტერნი. „ფრიც ვალტერ შტადიონი“. 23.00

1. ბუფონი; 2. ძაკარდო, 13. ნესტა, 5. კანავარო, 19. ძამბროტა; 20. პეროტა, 21. პირლო, 4. დე როსი; 10. ტოტი; 9. ტონი, 11. ჯილარდინო	18. კელერი; 6. ჩერუნდოლო, 22. ონიეკუ, 23. პოუპი, 7. ლუისი; 15. კონვი, 10. რეინა, 4. მასტროენი, 17. ბისლი; 21. დონოვანი, 20. მაკბრაიდი
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი	მწვრთნელი: ბრიუს არენა

მსაჯი: ხორხე ლარიონდა (ურუგვაი)

ძამბროტა ბრუნდება

ზოგი მიმომხილველის აზრით ჯილარდინომ განელებთან შეხვედრაში მოლოდინი ვერ გაამართლა, მაგრამ ამის მიუხედავად, მარჩელო ლიპი ამერიკელების კარის დასალაშქრავად მაინც მას მიავლენს ლუკა ტონისთან ერთად და არა ვინჩენცო იაკინტას, რომელმაც იმ დღეს გოლიც შეაგდო და კარგ ფორმაშიც ჩანს.

ერთი სიტყვით, იტალიელები მეორე ტურში ფაქტობრივად იმავე შემადგენლობით ითამაშებენ, რომლითაც პირველში ითამაშეს, იმ სავარაუდო განსხვავებით, რომ კრისტიან ძაკარდოს ნაცვლად ჯანლუკა ძამბროტა იქნება და ეს, ისედაც ძლიერი გუნდის კიდევ უფრო გაძლიერებას ნიშნავს.

საერთოდ, იტალია და აშშ ერთმანეთს ხუთჯერ შეხვედრიან და ამ ხუთი ჯერიდან ამერიკელებს ერთხელაც არ მოუგიათ.

„ჩვენ ჯერ კომაში არა ვართ — ამბობს აშშ-ის ნაკრების უცვლელი თავკაცი ბრუს არენა — იტალიელებთან იმ გეგმით აღარ ვითამაშებთ, როელმაც პირველ დღეს 0:3 წაგვაგებინა. ის ფურცელი ჩვენ უკვე გადავშალეთ და ახალ, სუფთა ფურცელზე ახალი ამბის დაწერას ვაპირებთ“.

ამერიკელებს, სავარაუდოდ, ამ შეხვედრაში სასტარტო შემადგენლობაში ეყოლებიან ის ფეხბურთელები, რომლებიც ჩეხეთთან შეხვედრაში მოედანზე მეორე ტაიმში შევიდნენ — ჯონ ობრაიენი და ედი ჯონსონი. აგრეთვე ამბობენ, რომ არენამ მოაგვარა ურთიერთობა ნახევარმცველ დამარკუს ბისლისთანაც, რომელთანაც ჩეხებთან მატჩის დროს გაუგებრობა მოუვიდა. დღეს უკვე ცნობილია, რომ „პსვ ეინდჰოვენის“ მოთამაშე სასტარტო შემადგენლობაში იქნება.

აღსანიშნავია, რომ ამერიკელები იტალიასთან სათამაშოდ, რაშმტეინის უზარმაზარ საჰერო სამხედრო ძალთა ბაზაზე ემზადებიან და ედი ჯონსონი სამხედროებს შეხვდა კიდეც.

„ჩვენ ჩვენს ქვეყანას წარმოვადგენთ და ვიცით, რომ ეს ბიჭები მხარს გვიჭერენ“ — თქვა ჯონსონმა, რომელიც ადრე ერაყის ომის ვეტერანებსაც შეხვდა.

სხვათა შორის, ერაყში მივლინებულ იტალიელებს მიუძღვნა „სკუადრა აძურას“ თამაში ჯილარდინომაც.

ბაბუნა კედია

ჩეხეთი — განა

კიოლნი. „რაინენერგიშტადიონი“. 20.00

1. ჩეხი; 2. გრიგერა, 22. როზენალი, 21. უიფალუში, 6. იანკულოვსკი; 8. პობორსკი, 4. გალაშეკი, 20. პლასილი; 10. როსიცკი, 11. ნედვედი; 12. ლოკვენცი	22. კინგსტონი; 15. პანცილი, 4. კუფური, 5. მენსა, 6. პაპოე; 10. აპია, 8. ესიენი, 18. ე. ადო, 11. მუნტარი; 3. გიანი, 14. ამოა
მწვრთნელი: კარელ ბრიუკნერი	მწვრთნელი: რატომირ დუიკოვიჩი

მსაჯი: ჰორაციო ელიზონდო (არგენტინა)

ბრიუკნერს როსიცკისა სჯერა

ემანუელს არ გავიმეორებთ

ბაროშმა და კოლერმა ბრიუკნერს ნახაზი შეაცვლევინეს

ჩეხებმა პირველ მატჩში ჩინებული შთაბეჭდილება დატოვეს, მაგრამ ახლა კარელ ბრიუკნერს გარკვეული პრობლემები შეექმნა. მოგეხსენებათ, აშშ-სთან მატჩში აყლაყუდა იან კოლერი დაშავდა და განასთან ვერ ითამაშებს. ლაზარეთშია ჩეხთა მეორე წამყვანი ფორვარდი მილან ბაროშიც. შესაბამისად, ბრიუკნერი იძულებულია, 4-5-1-ით ითამაშოს. გამოკვეთილი თავდამსხმელი ვრასტისლავ ლოკვენცი იქნება, რომელსაც ტომაშ როსიცკი, პაველ ნედვედი, იაროსლავ პლასილი და კარელ პობორსკი დაეხმარებიან.

„ბაროშის და კოლერის ამბავი მართლაც სამწუხაროა, ისევე როგორც ვლადიმირ შმიცერის, რომელიც მუნდიალის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე გამოგვაკლდა. თუმცა ვალდებულნი ვართ, მაინც კარგად ვითამაშოთ და ეს დამატებით სტიმულსაც გვმატებს“ — თქვა აშშ-სთან მატჩის გმირმა ტომაშ როსიცკიმ.

იტალიასთან მარცხის მიუხედავად, კარგად ითამაშა განამაც. თუმცა აფრიკელები რთულ ვითარებაში არიან. მათ სულ მცირე, ქულა უნდათ, რათა ჯგუფიდან გასვლის მიზერული შანსი მაინც დაიტოვონ. განას თავკაც რატომირ დიუკოვიჩს წარმატების იმედი ჯერ კიდევ აქვს. იგი ტრადიციული 4-4-2-ით ითამაშებს. განელების პრობლემა უგოლობაა. აფრიკელები მომენტებს ქმნიან, მაგრამ ბოლოს რაღაც აკლდებათ და დუიკოვიჩს იმედი აქვს, რომ ასამოა გიანი და მეტიუ ამოა მიზანს გაისწორებენ.

რატომირ დუიკოვიჩი: „იტალიასთან მატჩისას ჩემი ფეხბურთელებით ვამაყობდი. ერთადერთი მინუსი დაცვის მარცხენა ფლანგი, კერძოდ კი ემანუელ პაპოეს ცუდი თამაში გახლდათ და იმედია, იგივე შეცდომებს არ გავიმეორებთ. ვფიქრობ, ბევრად უკეთ ვითამაშებთ და გოლებსაც გავიტანთ. ისევ მჯერა, რომ ჯგუფური ეტაპის დაძლევა და მერვედფინალში გასვლა შეგვიძლია“.

„ნაკრებები, რომლებიც პირველ მატჩს აგებენ ისევ ინარჩუნებენ ჯგუფიდან გასვლის შანსს. ამიტომ ნუ ჩამოგვწერთ, ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლებთ“ — აღნიშნა განას კაპიტანმა სტეფან აპიამ.

კარელ ბრიუკნერი: „იდეალური შემადგენლობა არ გვყავს, რადგან ორი წამყვანი ფორვარდი გვაკლია, მაგრამ მაინც საკმაოდ ძლიერნი ვართ და გამარჯვებისთვის ვითამაშებთ, რაც მერვედფინალთან ძალიან მიგვაახლოებს.“

გიორგი კაკაბაძე

ჩეხეთი	1	1	0	0	3:0	3
იტალია	1	1	0	0	2:0	3
განა	1	0	0	1	0:2	0
აშშ	1	0	0	1	0:3	0

მიკაელ ესიენი

გიო ახვლედიანის სვეტეული

მისტერ ბასეტი, ინგლისის მწვრთნელი

ანგლიის ნაკრების უფროსობას ფსიქოლოგი მიუწვევია გუნდში, ბიჭებს დაეხმარებაო, მაგრამ ფეხბურთელებს უარი უთქვამთ. კიდევ მეტიც, სერიოზულად არც კი მოელიათ.

ერთი შეხედვით, ეს სახალისო ამბავია: ანგლიის ნაკრები უარს ამბობს ფსიქოლოგზე და მისგან მიცემულ რჩევებზე. როგორ არ გავიხსენოთ გლენ ჰოდლი და მისი ექსტრასენს—ჯადოქარ-ფსიქოლოგი აილინ დრიუერი, რომლისაც ჰოდლს ძალიან სჯეროდა და ინგლისის ნაკრების ფეხბურთელებს მასთან სიარულს ავალებდა. ჰოდა, ერთხელ გაზასაც დაავალა, დრიუერთან მიდიო. გაზა თავის წიგნში ოხუნჯობს, კიდეც გამიხარდა, ვიფიქრე, ბოსი ლუდის ქარხანაში მაგზავნისო (იმ ქალის გვარი დრიუერი იყო, ლუდის ქარხანას კი ინგლისში ბრუერი ჰქვია). ჰოდა, მივედიო და გონების მკურნალმა ერთი შემომხედა და მითხრა, გარშემო სულ დემონები გარტყიათო. რაც მე აქეთ-იქით ვიყურე და იმ ოთახში იმ ქალის და ჩემ მეტი არავინ იყოო, ოხუნჯობს გაზა. ჰოდა აილინს უთქვამს, სმას უნდა შეეშვა, სიგარეტს თავი დაანებო და დემონებიც მოგშორდებიანო. ამასო, რაც 16 წლისა შევსრულდი, ყველა მეუბნებაო, თან კიდევო, მე გამომისტუმრა თუ არა, იმ ქალმა სიგარეტი გააბოლაო, დერეფნიდან დავინახეო.

ანგოლელთა უარიც რაღაც ამის მსგავსია.

არ ვიცი, წინდაწინ თუ იხმარდნენ ფსიქოლოგებს ამ მსოფლიო თასის ნაკრებები, მაგრამ მათი ფსიქოლოგიური სიმყარე სანიმუშოა. ფეხბურთელები ყოველგვარი ყოყმანისა და გონებაარეულობის გარეშე თამაშობენ და ალბათ ანგოლელებსაც მიაჩნიათ, რომ ფსიქოლოგი არაფერში სჭირდებათ: ფსიქოლოგიური სიმტკიცე, მგონი, მხოლოდ უკრაინელებს სჭირდებათ. ტოგოსაც კი ამ მხრივ ყველაფერი წესრიგში აქვს: თვით ხუთშაბათ საღამოს მბობღავმა ინგლისმაც კი დაანახა ყველას, რომ შეიძლება ფეხები არასწორად მუშაობდნენ, მაგრამ თავები კი მაინც სწორად მუშაობენ.

ეს ძალიან საინტერესოა და პროფესიონალიზმს ნიშნავს.

ისევ გაზა მახსენდება: ამასწინათ ბობი რობსონმა გაიხსენა, 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალის წინ ფეხბურთელებს გერმანელთა რაობას ვუხსნიდი, გაზას ყურადღებას კი განსაკუთრებით ლოთარ მათეუსზე ვამახვილებდიო. მიყურა, მიყურა და ცოტათი ნაწყენმა მითხრა, უფროსო, ისე მელაპარაკები, თითქოს მაგ კაცის უნდა მეშინოდეს, ნუ ჯავრობ, გადავანგრევ, ყოფას ვუტირებო. გადაანგრია თუ არა, სხვა საკითხია, საქმე გაზას განწყობაა. გაუწონასწორებელი, ლოთბაზარა და ხუმარა ბიჭი მინდორზე ნამდვილი პროფესიონალი იყო. ამ მსოფლიო თასს კი ეტყობა, რომ გუნდს რა კლასიც უნდა ჰქონდეს, შიში არა აქვს. საერთოდ კიდევ, ეს ყველაფერი ამერიკის საკალათბურთო ლიგას ემსგავსება: იქ სუსტებიც არიან, მაგრამ შეჯიბრში სისუსტე ძალიან პირობითია, ვინაიდან კალათბურთს ყველა ძალიან მაგრად თამაშობს.

ასე რომ, ანგოლელთაგან ფსიქოლოგის უკუგდება შემთხვევითი ამბავი სულაც არ არის.

ახლა კიდევ მეორე ამბავი: ეკვადორელებს ამაზონის ჯუნგლებიდან იქაური მკურნალ-ჯადოქარი მიუწვევიათ. მჩხიბავი კაცი, რომელიც წინსვლაში უნდა დაეხმაროს. კარგი ამბავია. თუმცა ეკვადორი ამ შამანის გარეშეც იოლას გადის ჯერჯერობით, ამაზონელის ნამდვილი ძალა კი მერვედფინალიდან გამოჩნდება. სხვათა შორის, ისევე, როგორც ზოგიერთი გუნდისა, იმიტომ, რომ ვითარება ამგვარია: ჯერჯერობით ზოგმა კარგად გაიარა ტესტები, ზოგმა გაჭირვებით, ზოგს კი იოლი მეტოქე გამოუვიდა და იმის ნამდვილ ძალაზე ძნელად ვიმსჯელებთ.

მოგეხსენებათ, პარაგვაი შინ მიემგზავრება, ისევე, როგორც პოლონეთი. შვედები ინგლისელებს ხვდებიან. ჩვენ კი გვესმის, რომ ბოლო წელიწადნახევარში ფრენკ ლამპარდის მიერ ნათამაშევმა მატჩებმა ასს გადააჭარბა და ამ ბიჭმა მხოლოდ ერთი თამაში გამოტოვა, ისიც, „ჩელსის“ გაჩემპიონების შემდეგ, მაგრამ აქ მსოფლიო თასია და ბრაიტონში დაღვრილი ოფლი არ ითვლება. მეტიც, დაგცინებენ კიდეც. ასევე სტივი ჯერარდიც — მხრებით რომ დააქვს „ლივერპული“. მაგრამ იფიცებიან, მოვუმატებთო და თუ დაუჯერებთ, დაუჯერეთ. როგორც ტერი ბუჩერმა თქვა, ინგლისს შეეძლო, პირველ ათ წუთში მოეგო ტრინიდადისთვის, ბოლო ათ წუთში კი მოუგო. იმიტომ, რომ თავიდანვე ჩვენებური საკლუბო თამაში უნდა გაეშვა და არა სიარულიო. რახან საკლუბო ვახსენეთ, ინგლის-ტრინიდადი სწორედ ინგლისურ სათასო თამაშს ჰგავდა, 1/32 ფინალს, როცა „ბარტონს“ ეთამაშება, ვთქვათ, „ნიუკასლი“ და „ბარტონისთვის“ ეს ყველაფერია, „ნიუკასლი“ კი ფიქრობს, ბოლოს შირერი მაინც გაიტანსო.

ამ განწყობას ვერანაირი ფსიქოლოგი ვერ შეცვლის.

ჩვენს საქომაგოში შეიძლება უცხოდ გაისმას, მაგრამ ინგლისში პატივს მხოლოდ ბრაზილიურ ფეხბურთს სცემენ მხოლოდ.

არის ასეთი სრულიად გადასარევი ფილმი, „მაიკ ბასეტი, ინგლისის მწვრთნელი“. ამ კომედიაში მოდელირებულია ინგლისის ნაკრების მთელი ისტორია. ამბავი გუნდისა, რომელიც შემთხვევით გადის მსოფლიო ჩემპიონატზე. ვერ უგებს არაბებს, აგებს მექსიკასთან, გიჟურ თამაშში ამარცხებს არგენტინას და ვარდება ბრაზილიასთან, ეს ძალიან სასაცილო და ნაღდი ფილმია, უზუსტესი. მისტერ ბასეტი, უბრალო კაცია, რომელიც არაადამიანურ დაწოლას განიცდის პრესისგან, შინ დაბრუნებულს კი გულშემატკივრები როგორც გმირს, ისე ხვდებიან.

ეს ფილმი ოთხ წელიწადში ერთხელ მეორდება მსოფლიოს ჩემპიონატებზე.

აბა, ერთიც ვნახოთ, წლეულს როგორ გამეორდება.

დასასრულებელ მოკლე ამბად კი ისა ვთქვათ, რომ მაურო კამორანეზის იტალიის ჰიმნის სიტყვები არ სცოდნია და თუკი სასტარტოში მოუწევს გამოსვლა, მშობლიური არგენტინის ჰიმნის სიმღერას აპირებს.

ერთი გახსენება

ხვალ დათო ყიფიანის დაბადების დღეა. ის 55 წლისა გახდებოდა. ამ მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებში აუცილებლად გაგახსენდება, როგორ დარჩა დათო მსოფლიო ჩემპიონატის გარეშე. ეს ძალიან სევდიანი ამბავია — 82 წლის ზამთრის და გაზაფხულის ამბავი: ბესკოვი, გავრილოვი და მთელი ეს ისტორია. მანამდე კი „ბერნაბეუზე“ მოტეხილი ფეხი. დათოს ეკუთვნოდა მსოფლიო ჩემპიონატი, თუნდაც იმ სულელურ სამოსში, ზედ რომ ოთხი უცხო ასო ეწერა. ეს ოთხი ასო ბოქლომიც იყო. დათოს ასჯერ მეტი ეკუთვნოდა.



არაგონესის სამეცნიერო ნაშრომი 41 წელი დაუმარცხებლად

„არავინ ელოდა ჩვენგან თამაშის ასე დაწყებას. პირველი გოლი კუთხურის შემდეგ შევაგდეთ, მეორე ჯარიმით, გოლებმა და ჩვენმა კარგმა თამაშმა მეტოქე გატეხა. საქმე ის გახლავთ, რომ პირველი წუთიდანვე შევუტიეთ, ბურთი ჩავიგდეთ და ტექნიკაშიც შთამბეჭდავი უპირატესობა დავამტკიცეთ... უკრაინა თავიდანვე მკვდარი იყო ჩვენთან. ახლა სიფრთხილეა საჭირო. წინ რთული მატჩები გველის და ზედმეტი თვითდაჯერებულობა ზიანის გარდა არაფერს მოგვიტანს.“ — განაცხადა ლუის არაგონესმა. „ელ საბიო“ (მეცნიერი) 68 წლისაა და რაც ნაკრებში დამრიგებლად მივიდა, „ფურია როხას“ წაგება არ უნახავს. ესპანეთმა დონ ლუისის თავკაცობით პირველი მატჩი 2004 წლის 2 აგვისტოს გამართა ვენესუელასთან და მას შემდეგ „წითლების“ მონაგარი 15 გამარჯვება და 8 ფრედ დამთავრებული თამაშია. ერთი სიტყვით, 22 წაუგებელი მატჩი.

თუმც ეს „ელ საბიოს“, როგორც მწვრთნელის, ალაფი გახლავთ მხოლოდ. არაგონესმა ფეხბურთელობისას 11 მატჩი ჩაატარა ნაკრებში და „ფურია როხას“ არც ის თამაშები წაუგია... ახალგაზრდა ლუისმა ეროვნულ გუნდში პირველი მატჩი 1965 წლის 8 აგვისტოს გამართა და ის ჯახი ესპანელებმა შოტლანდიასთან გლაზგოში 0:0 დაასრულეს. ნაკრების დღევანდელი მწვრთნელის ბოლო, ფეხბურთელობისდროინდელი გაჯირითება ალისფერი მაისურით კი მადრიდში, 1972 წლის 12 იანვარს მოხდა უნგრეთთან. მაშინ ესპანეთმა იმარჯვა 1:0. სულ ლუისის მონაწილეობით „ფურია როხამ“ 11 შეხვედრა ითამაშა, 7 მოიგო და 4 ფრედ დაამთავრა.

ანუ რა გამოდის? თუ „ელ საბიოს“ ნაკრებთან თანამშრომლობის ორ პერიოდს (მწვრთნელობის და ფეხბურთელობისდროინდელს) გავაერთიანებთ, არაგონესის წაუგებელი სერია ზუსტად 41 წლით განისაზღვრება! თან თუ იმასაც გავითვალისწინებთ, ესპანეთმა უკრაინას მუნდიალის სადებიუტო მატჩში რა უქნა, „ელ საბიოს“ ტრიუმფალური სვლა, წესით, მალე არ უნდა შეწყდეს...

ლადო ხომერიკი

მარტო კრაუჩით ვერ გახერხავ

ტრინიდადისა და ტობაგოს მწვრთნელმა, ცნობილმა ჰოლანდიელმა ლეო ბეენჰაკერმა თქვა, რომ ინგლისს მსოფლიოს ჩემპიონობისთვის თამაშის გამრავალფეროვნება სჭირდება. მოგეხსენებათ, „ნარინჯისფერთა“ და მადრიდის „რეალის“ ყოფილი თავკაცის გუნდმა ინგლისელებთან ხუთშაბათ საღამოს ითამაშა და ბოლო შვიდ წუთში გაუშვა ორი გოლი.

როგორც გაირკვა, ბეენჰაკერი ინგლისელთა ვარსკვლავებით დახუნძლული ნახევარდაცვის დიდად პატივისმცემელი კაცი ყოფილა, ოღონდ, იმავდროულად, წინასწარვე გამოუცნია, რომ სვენ გორან ერიკსონის ხელში ამ თანავარსკვლავედის თამაში, მაღალი პიტერ კრაუჩისკენ ჩაწოდებებით შემოიფარგლებოდა.

„ჩვენ ამას ველოდით და ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად პირველი 20 წუთის გაძლებას ვისახავდით. საქმე ის არის, რომ თუ 20 წუთს გაუძლებ, ინგლისელებს მოთმინება დაეკარგებათ და შემდეგ სულ მეტი და მეტი შეცდომების დაშვებას დაიწყებენ. სწორედ ეს მოხდა იმ დღესაც“.

მოგეხსენებათ, ტრინიდადმა და ტობაგომ ინგლისამდე შვედეთთან ითამაშა. ბეენჰაკერი ამბობს:

„როდესაც იბრაჰიმოვიჩის და კრაუჩის ტიპის თავდამსხმელები გყავს, უნებლიედ თამაშს მაღალ ჩაწოდებებზე აწყობ, მაგრამ მეორე მხრივ სწორედ ამის გამო წამყვანი ნახევარმცველების ნიჭს ვეღარ იყენებ“.

და ბოლოს: „ვფიქრობ, ინგლისელებს ამხელა შეჯიბრებაში მეტი სიდინჯე მართებთ. მაღალი ბიჭები რასაკვირველია უნდა გამოიყენონ, მაგრამ იმავდროულად არ უნდა დაივიწყონ, რომ ეს ერთადერთი კი არა, ერთ-ერთი ხერხია. უფრო ძლიერ მეტოქეებთან მეტი მრავალფეროვნება დასჭირდებათ. არ მინდა ბატონი ერიკსონის კრიტიკა გამომივიდეს, მაგრამ ვფიქრობ, თავისი ნახევარმცველების შესაძლებლობებს სრულად ვერ იყენებს“.

პაპუნა კედია

ფეხმოტეხილი ტრანსფერი



ფრანგი ფორვარდი ჯიბრილ სისე „ლივერპულიდან“ წასვლაზე და სამშობლოში დაბრუნებაზე რომ ფიქრობდა, ცნობილია. მის სახელს „ლიონსა“ და „მარსელს“ უკავშირებდნენ, მაგრამ მას მერე, რაც ზედ მუნდიალის წინ ფეხი მოიტეხა, რამდენიმე თვე დასჭირდება სარეაბილიტაციოდ. ბევრმა ჩათვალა, ამ მდგომარეობაში მყოფი ფეხბურთელის ყიდვას არავინ გარისკავსო, თუმც ირკვევა, რომ სისე „მარსელში“ გაანათხოვრეს.

მარსელელები, დიდი ხანია, მაღალი კლასის ფორვარდს ეძებენ და სისეს დამატება ძალიან სურდათ. კონტრაქტის პირობებზე ერთადერთი ის არის ცნობილი, რომ მომავალ ზაფხულს „მარსელს“, სურვილის შემთხვევაში, სისეს გამოსყიდვა შეეძლება. ამბობენ, შესაძლოა, „ლივერპულმა“ სანაცვლოდ 19 წლის ნიჭიერი ნახევარმცველი სამირ ნასრი წაიყვანოსო.

კოსმოპოლიტური მიმოხილვა

ინგლისი ტრინიდადს მარცხენა ფრთიდან, როგორც ერთი ჩვენი გადამდგარი ოქრო კაცი იტყოდა, სულ კოულ-კოულით უტევდა და თავისიც გაიტანა: ახტა კრაუჩი-დახტა კრაუჩი და ლაწან! ისე, ჩვენში დარჩეს და, ინგლისურად კრაუჩი ხოხვას ნიშნავს.

მოკლედ, ინგლისი მაგარია. „ზეპელინები“, „ფარფლები“, „ქისი“, „პინკ ფლოიდები“, „ბიტლები“, „როლინგები“, „ქვინები“ სულ ინგლისელები არიან. ქეთი მელუაც ინგლისელია. აი, ბრაზილიელები კი... ვინ არის, აბა, ბრაზილიელი, ჩამოთვალეთ. პელე? ეგ ყავაა. ვიღაც შავი კაცი გამოდის ხოლმე ტელევიზორში და იძახის მე პელე ვარ, ბრაზილიური ყავაო. პელეს ბიჭი? მართალია, კიდევ ეგ გაგვიგია ბრაზილიელებიდან და ისიც იმიტომ, რომ რიოს ჟარგონზე რომ ვთქვათ, ფაქტით დაიჭირეს და გასროკეს. სხვა? სხვა ბრაზილიელი იცით ვინმე? ალბათ, დიდა, ხომ?

მართლა, დიდას გახსენებაზე... ეგ დიდა ნაკრებში უფრო ზანგია, ვიდრე „მილანში“ თუ მომეჩვენა? ერთი, შემდეგ თამაშზე კარგად უნდა დავაკვირდე და თუ მართლა ასეა, გამოდის, რომ „მშობლიური გარემოს“ თეორია მართალია, ოღონდ მაგის დრო ეხლა არ არის და ამ თეორიის შესახებ სხვა დროს მოგახსენებთ.

მგონი, კიდევ რაღაც მინდოდა... ჰო, გერმანიაზე მკითხა იმ დღეს ვიღაცამ რაღაც. გერმანიის საქმე როგორ არის, იცით? ხო ხედავთ, რა დღეშია და ყველამ თავი უნდა დაანებოს. გაეცალეთ, გამოიწიეთ. თავისით, თავისით...

კიდევ... საუდის არაბეთმა, მატჩის გმირის პრიზს ჩვენ ნუ მოგვცემთ, ლუდსახარშის დაწესებულია და არ გვინდა, რელიგია ლუდთან ურთიერთობას გვიკრძალავსო. აფსუს, დიმა ობოლაძე მაჰმადიანი რომ არ არის. შეიძლება ყოველი რეპორტაჟის დროს ხუთ წუთში ერთხელ იძახო, ჩვენი სპონსორი ლუდსახარშია და მისი ლუდი დალიეთო?! ფეხბურთელებზე ხშირად ლუდსახარშზე ლაპარაკობს, რა დაალევინეს ესეთი.

ჯერჯერობით ჩატარებული თამაშებიდან კი ყველაზე მაზალო კორეა—ტოგო იყო. აბა, როგორია, მეკარესთან პირისპირ შესული კაცი უკან გამოიქცეს და ბურთი თავის მცველებთან ჩამოიტანოს, იმიტომ, რომ იქ რაღაც ვერ მოახერხა.

ზატო არ დაკარგა, არა?

თან, ტოგოს მწვრთნელს, აი, რომ გაიქცა და მოიქცა, თურმე ჩარტყმა უყვარს.

სამი დალიე ოტო, შეგერგება, არ დაითვრებიიი.

პაპუნა კედიოლორ ოფ საბურთაალი



გუნდმ დოლუხეტმეველის ფოტო

fanaoba@hotmail.com

მკითხველთა წერილების რუბრიკა ორი წლის წინ დაარსდა ევროპის ჩემპიონატის დროს. მას მერე უამრავ თემაზე მომწერეს ჩვენმა მკითხველებმა თავიანთი მოსაზრებები და ბევრ მათგანთან პირადად გაცნობაც და დამეგობრებაც მოვასწარი.

იმედი გვაქვს, ამ მუნდიალზეც იმდენ წერილს გამოგვიგზავნით, წინა ევროპისა არ იყოს, მათი დამცრობა დაგვჭირდეს, გაზეთში ყველას ჩატევა რომ მოვახერხოთ.

დღეისთვის კი ეს ვიკმაროთ. ხოლო მათთვის, ვინც არ იცის, რაშია საქმე, განვმარტავთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატთან დაკავშირებულ ნებისმიერ თემაზე შეგიძლიათ მოიწეროთ, ოღონდ გუნდებს, რომლებსაც არ გულშემატკივრობთ, არაკორექტულად ნუ დასცინებთ

GIO 81: „სარბიელს" გაუმარჯოს! მგონი, ფინალში არგენტინა — ჰოლანდია გადის, ჯერ ასე ჩანს. მე უფრო ჰოლანდიის გულშემატკივარი ვარ. საფრანგეთმა კი, თუ ასე გააგრძელა, ეგენი ჩვენი მომგებნი არ არიან. აფრიკის წამყვანი ქვეყნების ვერგასვლით აფრიკის კონტინენტმა ძალიან იზარალა, ამ გუნდებს არანაირი შანსი არ აქვთ. ბრაზილია კი ნახევარფიალს ვერ გასცდება. ტრინიდადს და ტობაგოს, ტოგოს და ანგოლას, საერთოდ, რა უნდათ მსოფლიოზე, ვერ გავიგე. უკრაინისა და საფრანგეთის თამაში შემოდგომისთვის იმედს მისახავს, იტალიამ კი, რაც განას შეეფერებოდა, ის ითამაშა, იტალიის ძალა მერე გამოჩნდება. ჯერჯერობით კი ლამაზი თამაში ვერ ვნახე, იმედია, მერე უფრო ეშხში შევა ჩემპიონატი. არც სენსაციები მოხდა ჯერ, რაც უფრო ალამაზებს ფეხბურთს. რაღაც დაღლილები ჩანან ფეხბურთელები, არადა, თავს უნდა იკლავდნენ. მე კი არ მომწონს თბილისური ფანკლუბები, გადამთიელების გულშემატკივრობას ჩვენი ნაკრების გულშემატკივრობა ჯობია, როგორიც უნდა იყოს ნაკრები. აი, ისე, ხორვატიას რომ გულშემატკივრობენ, ხორვატია ჩემთვის მაგალითია როგორც გულშემატკივრობის, ასევე ფეხბურთის თამაშისა და ქვეყნის სიყვარულის მხრივ. „სარბიელს" კი 11 წელია ვკითხულობ, პირველი წერილი მოგწერეთ და იმედია, ჩემს საყვარელ გაზეთში ჩემ ნაწერსაც მოვესწრები. ბოლოს, წინ, ქართულო ფეხბურთო, დანარჩენებს კი ჩვენს გარეშეც არ აკლიათ გულშემატკივრობა. დროებით.

დროებით. აი, შენი პირველი წერილიც. უნდა დაგეთანხმო, თბილისური ფანკლუბები ძალიან არ მომწონს, რადგან ხელოვნურად შექმნილი მგონია და თანაც, საქართველოს ნაკრების ქომაგობაზე რომ მიდგება საქმე, ფანკლუბების ჩამოყალიბება რატომღაც ეთაკილებათ.

სამაგიეროდ, მომდევნო წერილის ავტორი, ვინაც ამ რუბრიკის დაარსებიდან მუდმივად გვწერს და ერთმანეთის გაცნობაც მოვასწარით, საქართველოს ნაკრების უნაღდესი ფანია.

MEZVRO: მოგესალმებით ყველას, მსოფლიოს ჩემპიონატის პირველმა ტურმა ჩაიარა და ყველა გუნდის თამაშიც ვიხილეთ შესაბამისად. პირველი შთაბეჭდილება როგორია: ძაან მომეწონა კოტ დივუარი და ხორვატია, იმის ფონზე, რომ არც ერთი აღიარებული ფავორიტი არ არის. აფრიკელები ძაან მეცოდებიან ამ სიკვდილის ჯგუფში რომ მოხვდნენ, შედარებით სუსტი ჯგუფიდან უეჭველად გააღწევდნენ... ხორვატები კი მერვედფინალის საგზურს მაინც მოიპოვებენ წაგების მიუხედავად. მათ აჩვენეს, თუნდაც ასეთ მრისხანე ბრაზილიასთან თამაში შეიძლება და ცოტა იღბალი რომ ჰქონოდათ, არც წააგებდნენ თამაშს.

ინგლისის ნაქებ ნაკრებს ჯერ ბევრი აქვს დასამტკიცებელი. პარაგვაისთან ვერ აჩვენა ის თამაში, რასაც ხალხი ელის. გერმანია ვერ იყო იმ დონეზე, ჩემპიონობის მთავარ ფავორიტად რომ შევრაცხოთ, ვანჩოპეს ორი გოლი მათ კარში კარგის ნიშანი არ უნდა იყოს.

იტალიას გვერდი როგორ ავუარო — ბავშვობაში გაჩენილი სიყვარული ამ გუნდის მიმართ, აგერ აქამდე მომდევს და სხვანაირად აღარც მომავალში იქნება მგონი. ჰოდა, იმას ვამბობდი, ეს გასაგები მიზეზით გამოწვეული ტენდენციურობაც რომ მოვიშორო, მაინც საქებარი სიტყვები დამცდება ლიპის გუნდის მიმართ. ხალხს პირზე ფრე ეკერა — იტალია მძიმედ იწყებსო, ჰოდა ამის ფონზე მგონი, მშვენიერი თამაში აჩვენა, ყოჩაღ პირლო. ისე, განა სულ არ არის ხელწამოსაკრავი გუნდი, ცდება ის, ვისაც ჩეხეთი და იტალია უკვე მერვედფინალში ჰგონია.

ერთი კარგი რამ მენიშნა — მსაჯები იმდენად აღარ სცოდავენ, რამდენსაც იაპონია-კორეის ჩემპიონატზე.

ისე ამ თბილისურ აჟიოტაჟზეც მინდა ვთქვა მცირედი. ხალხი სხვადასხვა ქვეყნის დროშაგულჩახუტებული რომ დარბის, მაგდენი დადებითი ემოცია და ერთგულება ჩვენი ნაკრების მიმართ გამოიჩინონ. ზოგადად ვამბობ, საწყენად ნურავინ მიიღებს.

სულო ცოდვილო, უნდა ვაღიარო, რომ სარბიელელთა გვარიან ნაწილსაც იტალია — განა ფრე გვეგონა...

SUPERMARIO: გერმანიაში საინტერესო თამაშები მიდის, ამ ეტაპზე რომელიმე გუნდის გამორჩევა ძნელია, მაგრამ ასე მგონია, ევროპაში ჩემპიონობის ყველაზე მეტი შანსი მაინც ევროპულ გუნდს აქვს. შემადგენლობის მხრივ ყველაზე დაბალანსებული ინგლისის ნაკრებია. მშვენიერი დაცვა და საყრდენ ნახევარმცველთა წყვილი ჟერარდი-ლამპარდი, ამ გუნდს აქვს პოტენციალი მოიგოს ჩემპიონატი. ასევე კარგი გუნდი ჰყავთ იტალიელებს. იტალია ნახევარფინალში აუცილებლად ითამაშებს, მაგრამ არა მგონია, ოქროს მედლებს შეწვდეს, ისევე როგორც კიდევ ერთი საკმაოდ სიმპათიური და კარგად მოთამაშე ჩეხეთი. ნახევარფინალი მათი მაქსიმუმი უნდა იყოს. მომწონს გერმანია. ლამი, მერტესაკერი და მეცელდერი. საერთო საქმეს არც არნე ფრიდრიხი აფუჭებს, ბალაკი პასებს აწვდის, კლოზეს კი გატანა ეხერხება. არ დაგვავიწყდეს — გერმანია სახლში თამაშობს და ბოლოს და ბოლოს, სამგზის ჩემპიონია!

ევროპული ტრიოს შემდეგ მთავარი ფავორიტი ბრაზილიის ნაკრებია, თუმცა არა მგონია ბრაზილიამ ზედიზედ მეორედ მოიგოს მუნდიალი და ზედიზედ მესამედ უწიოს ფინალს. რონალდო და ადრიანო სულაც არ არიან ოპტიმალურ ფორმაში. კარგ ფორვარდებს, ალბათ, სისწრაფის ხარჯზე შეუძლიათ დაჯაბნონ კაფუ, რობერტო კარლოსი და ჟუანი. არც ლუსიოა თუნდაც კანავაროს დონის მცველი. რონალდინიოს და კაკას გუნდი თავს მაინც არ შეირცხვენს და მგონია მეოთხედფინალიდან პენალტების სერიით გამოვარდება.

პირადად მე არგენტინის გულშემატკივარი ვარ. არგენტინა ჩემპიონატის მეხუთე ფავორიტად მიმაჩნია. ამ გუნდიდან ძნელია ვინმეს გამოყოფა, მაგრამ გაბრწყინებას ძირითადად ამ სამისგან უნდა ველოდოთ: რიკელმე, მესი, კრესპო. ეს უკანასკნელი ძალიან სახიფათო მოთამაშეა და რაც მთავარია, ძალებით სავსეა და მგონი ბევრ გოლს გაიტანს.

მეორე ეშელონის გუნდებიდან გამოვყოფდი ესპანეთს, ახალგაზრდა და ვეტერანი ფეხბურთელების იდეალური შეზავებით. ჰოლანდიას, პორტუგალიას, რომელსაც გენიალური მწვრთნელი ჰყავს, თავდაჯერებულია და გუნდი განაწყო შვიდი თამაშის მოგებაზე. საფრანგეთს ჟიული აკლია, ძალიან აკლია. ჟიული გუნდის თამაშს გამოაცოცხლებდა და მრავალფეროვნებას შემატებდა. ბევრს საუბრობენ და სასწაულებს ელიან აფრიკული გუნდებისგან, უკრაინისგან, სერბეთისგან და შვეიცარიისგან, ჩემი აზრით, მათ თავიანთი მაქსიმუმი უკვე გააკეთეს.

ამ წერილმა გამოიგნა. ბოლო ორი წელია, სუპერმარიოს ნიკ-ით ვინც გვწერს, ვიცი, რომ გერმანიის გულშემატკივარია და უცებ ირკვევა, რომ არგენტინის ფანი ყოფილა. ან ეს სხვა მარიოს ფანია (საკარაუდოდ, კემპესის. გერმანიის ფანი სუპერმარიო ბასლერის ფანია), ან მაგრად შეცვლია გემოვნება.

ვეგ-ოსტატი ბუარა

fanaoba@hotmail.com

მთელი გერმანია კლინსმანით სუნთქავს

ბეკენბაუერი არ გაგვიგონია

ფრანც ბეკენბაუერის პოპულარობის ამბავი მოგეხსენებათ, მაგრამ ამწუთას, გერმანიაში პირველი ნომერი, ბუნდესნაკრების თავკაცი იურგენ კლინსმანია.

ცნობილია, რომ „კაიზერ ფრანცი"თხემით ტერფამდე პატრიოტია და როგორც მსოფლიოს ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტმა უდიდესი საქმეებიც აკეთა, თუმცა ახლა ფეხბურთის დროა და ხალხი თამაშებს უყურებს, თამაშებში კი მათ ნაკრებს კლინსმანი ხელმძღვანელობს.

ბევრს ის მოსწონს, რომ დღევანდელ გერმანიის ნაკრებში მეტი თავისუფლება და სილაღეა, ვიდრე ადრე, მათ შორის 1990 წელს, ბეკენბაუერის მწვრთნელობის და მსოფლიოს ჩემპიონობის პერიოდში, ამ თავისუფალ სულს კი ბევრი, 41 წლის კლინსმანს უკავშირებს.

დღეს ბევრი იხსენებს მარტის ამბებს, როდესაც გერმანიაში გამართულ მწვრთნელთა უორკშოპზე ამერიკაში მცხოვრები კლინსმანი არ ჩავიდა და ამით ჰერ ბეკენბაუერი განარისხა. „კაიზერ" ფრანცმა მაშინ მრისხანე ინტერვიუები მისცა და თქვა, რომ გერმანიის ნაკრების მწვრთნელი ვალდებულია, მსოფლიოს ჩემპიონატის წინ გერმანიაში ატარებდეს მეტ დროს. მას რამდენიმე სხვა ცნობილმა ადამიანმაც აუბა მხარი.

და კლინსმანმა რა უპასუხა? კონფლიქტი არ დაუწყია და არც თავის მართლებას მოჰყოლია, მშვიდად განაცხადა, რომ ამიერიდან ბუნდესნაკრებთან მეტ დროს გაატარებს.

სხვათა შორის, ბეკენბაუერი და კლინსმანი პირველად ახლა როდი წაეკიდნენ ერთმანეთს. ეს მაშინაც მოხდა, კლინსმანი „ბაიერნში" რომ თამაშობდა, ბეკენბაუერი კი როგორც ახლა, ამ კლუბის პრეზიდენტი იყო. მაშინ გუნდის თამაშით და მასში შექმნილი ატმოსფეროთი განაწყენებულმა „კაიზერმა", კლინსმანის დასახელების გარეშე მას და მის თანაგუნდელებს „ფკ ჰოლივუდი" უწოდა.

იურგენ კლინსმანს გერმანიის ნაკრებში 108 მატჩი აქვს ჩატარებული და 47 გოლი გატანილი. ის კალიფორნიაში ცხოვრობს და ამბობს, რომ თუ ვინმეს რამეში დასჭირდება მასთან დაკავშირება, ელექტრონული ფოსტით ნებისმიერ წამს შეუძლია, რის გამოც „ბერლინერ ცაიტუნგმა" მას კალიფორნიელი ინტერნეტ-მწვრთნელი დაარქვა.

რა პასუხს გასცემს ამაზე ინტერნეტ-მწვრთნელი? საუკეთესო პასუხი, ცხადია, მსოფლიოს ჩემპიონობა იქნება და თუ ჰერ კლინსმანმა ეს მართლა შეძლო, მაშინ იგი თვით ფრანც ბეკენბაუერის შედეგს გაიმეორებს — გახდება მსოფლიოს ჩემპიონი როგორც ფეხბურთელის, ასევე მწვრთნელის რანგში.

პაპუნა კვედია

ნაპრემიერალი გაპრეზიდენტდა

სილვიო ბერლუსკონი „მილანის" პრეზიდენტის პოსტს ოფიციალურად დაუბრუნდა. მართალია, „როსონერის" აქამდეც იგი მართავდა, მაგრამ ბოლო წელიწადნახევრის მანძილზე პრეზიდენტის პოსტი ოფიციალურად, მის მარჯვენა ხელ ადრიანო გალიანის ეჭირა.

ბერლუსკონი „მილანის" პრეზიდენტი 1986 წლის 24 მაისს გახდა. მისი გავლენისა და ფინანსური შესაძლებლობების წყალობით კლუბი, რომელიც მაშინ არცთუ კარგ მდგომარეობაში იყო, ფეხზე დადგა და უძლიერესთა შორის აღმოჩნდა. დონ სილვიომ პრეზიდენტის პოსტი 2004 წლის 29 დეკემბერს დატოვა, რათა პოლიტიკისთვის მეტი ყურადღება დაეთმო. მოგეხსენებათ, იგი იტალიის პრემიერ-მინისტრი გახლდათ, მაგრამ მას შემდეგ, რაც არჩევნები რომანო პროდისთან წააგო, გადაწყვიტა, „მილანის" მმართველად ოფიციალურად დაბრუნებულიყო.

კოკი კანდელაკი

ლამი და ბურთი ერთად დაიბადნენ

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველი სიტყვა ახალგაზრდა ფილიპ ლამმა თქვა. თქვა კი არა, ლამაზ სიმღერასავით წაიღიღინა — ფანტასტიკურად ლამაზი გამოდგა კოსტა რიკის კარში მისი გატანილი გოლი. ორმაგად მნიშვნელოვანია ეს გოლი, რადგან ლამი პირველი მცველი გახდა მუნდიალების ისტორიაში, რომელმაც სადებიუტო მატჩში ბურთი შეაგდო. დავამატოთ ამას, რომ ლამმა ეს მშობლიურ ქალაქში და ასევე მშობლიურ, თუმცა დროებით სახელშეცვლილ სტადიონზე გააკეთა

ვილი სანიოლი, ბიქსენტ ლიზარაზუ და ფილიპ ლამი

ამ თამაშში მისი მონაწილეობა სათუო იყო — ფილიპმა ხომ მუნდიალისწინა საკონტროლო მატჩში მავან სამოყვარულო გუნდთან ტრავმა მიიღო... ბავარია კი ლამისთვის მარტო იმიტომ არაა შინაური, იქაურ „ბაიერნში“ რომ ბურთაობს — მუნდიალის პირველი გოლის ავტორი ძირძველი მიუნხენელია, ერთადერთი, ნაციონალმანშაფტის შემადგენლობაში. საერთოდაც „ბაიერნში“ ადგილობრივები მხოლოდ ორნი არიან, ის და ანდრეას ოტლი.

დაახლოებით 7-8 წლის წინ, „ბაიერნის“ ახალგაზრდული გუნდის მწვრთნელი ვერნერ კიორნი, თავის ასისტენტთან ერთად ლუდხანაში დალოცვილ ბავარიულ ლუდს მიირთმევდა და შეგირდთა პერსპექტივებს განიხილავდა. შეძლებს კი რომელიმე მათგანი, ცხოვრების სახსრის ფეხბურთით შოვნას? მოახერხებს ბუნდესლიგაში შეჭრას? კიორნი ამ გამოცანის ამოხსნაზე ფიქრობდა, როცა ასისტენტმა მტკიცედ განუცხადა: „თუ ამას ფილიპ ლამი ვერ მოახერხებს, ჩათვალე, რომ ვერც დანარჩენები შეძლებენ...“ კიორნი ვერ მიხვდა, ეს ფილიპ ლამი ვინ იყო, მისი თქმით, ასეთი მოთამაშე „ბაიერნის“ ახალგაზრდულში არ ირიცხებოდა. მომდევნო დღეს, ვიდრე სამუშაოს შეუდგებოდა, პატივცემულმა მწვრთნელმა მოიძია, გუნდში მავანი ლამი თუ ჰყავდათ. კი აღმოჩნდა ასეთი, მაგრამ ჰერ ვერნერს მაინც ვერ გაეგო, რა მოეწონა მის თანაშემწეს ამ ბიჭუკელაში. დაბალი, გამხდარი, როგორ შეიძლება ამნაირმა ბუნდესლიგაში წარმატებას მიაღწიოს?! ლამი კი ბუნდესლიგაში მშობლიური „ბაიერნის“ ფორმით არ შეჭრილა. თავიდან ფილიპმა ახალგაზრდულ გუნდთან ერთად ორჯერ, 2001 და 2003 წლებში გერმანიის ჩემპიონობა მოიგო, ხოლო მომდევნო სეზონში ვერნერ კიორნის დაწუნებული ფეხბურთელი რეგიონალლიგაში მობურთავე „ბაიერნის“ სამოყვარულო გუნდის უცვლელ მოთამაშედ ითვლებოდა.

რეგიონალლიგაში კი ჰერ ვერნერ კიორნისნაირი ურწმუნო თომები ლამს აღარ აწუხებდნენ. პირიქით, მაშინდელი მწვრთნელი ჰერმან ჰერლანდი ფილიპის ნამდვილი ფანი გახდა. „ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ მან თამაში უკვე დაბადებამდე დაიწყო“ — ამბობდა ეს სპეციალისტი. დაბალ ლიგაში გამოჩენილი სიჩაუქისთვის, ბავარიელი ბიჭი ძირითად გუნდში მიწვევით დააჯილდოვეს და ლამიც პირდაპირ ჩემპიონთა ლიგაზე, „ლანსის“ წინააღმდეგ გამოვიდა მოედანზე (მინდორზე ერთ წუთს იყო).

თავიდან ბუნდესლიგის სხვა ბინადარნი („შტუტგარტი“ მაგალითად) ლამის შეძენას არ ჩქარობდნენ. იგივე ამბავი იყო, რაც ადრე „ბაიერნის“ ახალგაზრდულ გუნდში — გერმანელი მწვრთნელები ჩხირივით გამხდარ ახალგაზრდას ეჭვის თვალით უყურებდნენ. თუმცა ფილიპს ჰერმან ჰერლანდის რეკომენდაცია დაეხმარა. ჰერლანდმა „შტუტგარტის“ მაშინდელ დამრიგებელ ფელიქს მაგათს უთხრა, ეს ჯადოსნური ბიჭი წაიყვანე და არ ინანებო. ლამი იჯარით მიიღეს „შტუტრარტში“.

ფელიქს მაგათის გუნდებში მისული ახალწვეულები მუდამ ერთი და იგივე პრობლემას აწყდებოდნენ — ვარჯიშთა ქანცგამწყეტ რეჟიმს. გავიხსენოთ, რომ ასკეტური ცხოვრების მოძულე ბრაზილიელ აილტონს ჰერ მაგათის „ვერდერში“ ყოფნა ჯოჯოხეთად გადექცა. ფილიპ ლამის ცხოვრებაში კი „შტუტგარტში“ გადასვლის პერიოდში პირველად გამოჩნდა მეგობარი გოგონა. მაგათიც ფიქრობდა, ლამს ქალთან სიახლოვე დისციპლინას დაუჩლუნგებს და წვრთნასაც შეუნელებსო. თუმცა ასე არ მოხდა — ფილიპ ლამი ცხენივით დარბოდა ვარჯიშებზე და მწვრთნელის სხვა დავალებებს ბეჯითად ასრულებდა.

მომდევნო სეზონში მაგათის „შტუტგარტი“ (იგივე WILDE YUNGS, „ველური ბიჭები“) ბუნდესლიგის სენსაცია გახდა. ლამის, კურანის, გლების, ჰინკელის, ტიფერტის, ჰილდებრანდის (გახსოვთ მისი მშრალი სერია, ოლი კანის რეკორდი რომ დაამხო?) გუნდი კარგა ხანს გერმანიის ჩემპიონატს ლიდერობდა, თუმცა გამოუცდელობამ მაინც თავისი გააკეთა და სეზონის ბოლოს შვაბები მეოთხე ადგილს დასჯერდნენ.

რაც შეეხება პირადად ლამის წარმატებებს... მარტო ის ფაქტი, რომ ფილიპი აილტონის შემდეგ ბუნდესლიგის პირველ ფეხბურთელად აღიარეს, ბევრს ნიშნავს. ტონი აილტონმა იმ სეზონში 28 ბურთი შეაგდო. „ვერდერს“ ჩემპიონობა და თასი მოუტანა, ამიტომაც მისი ჯობნა ძნელი გახლდათ. თუმც, თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ლამმა მიხაელ ბალაკი მესამე ადგილზე ჩამოაგდო... ფილიპი კი მაგათმა მარჯვენა ფლანგიდან მარცხენაზე გადაისროლა, იქ უკეთ ითამაშებსო.

ფილიპ ლამის ამ დარტყმას საუცხოო გოლი მოჰყვა

ახალგაზრდა მოთამაშეს საქმეები ცუდად არც სხვაკრებო დონეზე მიუდიოდა. ჯერ კიდევ „ბაიერნში“ ყოფნის დროს 18 და 20 წლამდელთა ნაკრებში თამაშით გამოიჩინა თავი. შემდეგ კი 21 წლამდელთა ეროვნული გუნდისგან მიიღო მიწვევა. თუმც ეს ყველაფერი მცირედია იმასთან შედარებით, რაც შემდგომ მოხდა — ფეხბურთელმა, რომელიც სულ ერთი წლით ადრე რეგიონალლიგაში ცოდვილობდა, გერმანიის ძირითად ნაკრებში ევროპის ჩემპიონატზე ითამაშა!

მართალია, იქ ჯგუფში დარჩნენ, მაგრამ ნაციონალმანშაფტის მომავალმა — 19 წლის შვაინშტაიგერმა, პოდოლსკიმ და 20 წლის ლამმა მშვენივრად ითამაშეს.

ფილიპის მომდევნო სეზონი „შტუტგარტში“ რაღაცნაირად არეული გამოდგა. შვაბები შეტევაში უნდილად გამოიყურებოდნენ და არც დაცვაში მოქმედებდნენ კარგად. ლამიც ტრავმებმა გააწამეს. როცა მცველმა სეზონის ბოლოს ვარჯიშზე ჯვარედინი მყესი გაიწყვიტა, ბევრმა იფიქრა, რომ „ბაიერნი“ თავისი უკანახაზელის უკან დაბრუნებას არ განიზრახავდა. თუმცა ბავარიელთა ახალი მწვრთნელი, მაგათი, თავისი ფავორიტის გარეშე ვერ გაძლებდა და ფილიპ ლამის მიზანიც მიუნხენში დაბრუნება იყო. „შტუტგარტი“ მიყვარდა, მაგრამ „ბაიერნი“ სივიჟემდე მენატრებოდა. ძილში სულ მიუნხენურ გუნდს ვხედავდი“ — თქვა შემდეგ ფილიპ ლამმა.

ისე, ფეხბურთელის კარიერაში იყო პერიოდი, როცა მას „ბაიერნში“ თამაში არ უნდოდა. პატარა ფილიპი და მისი მეგობარი, ასევე „ბაიერნის“ ბავშვთა გუნდში მივიდნენ თავიდან სათამაშოდ და... 1:20 წაგეს თავიანთი პირველი შეხვედრა.

ფილიპი შტუტგარტიდან მიუნხენში დაბრუნდა, სადაც, როგორც აღმოჩნდა, ბევრი არაფერი შეცვლილიყო. ალბათ, მარტო ის, რომ ქალაქის ცენტრში შესანიშნავი ბინა იყიდა და ძველი მეგობრებიც მონახა — მათთან ერთად ბილიარდით და კალათბურთით ერთობა. არასპორტული სფეროდან კი მუსიკა და ვიდეოთამაშები უნდა გამოვყოთ. ლამი პლეი სთეიშენით არის გატაცებული — „კიკერის“ ჟურნალისტის კითხვაზე, თქვენს სახლს ცეცხლი რომ წაეკიდოს, პირველ რიგში, გარეთ რას გამოიტანდითო, ფილიპმა მხიარულად უპასუხა — ჩემს გოგონას და პლეი სთეიშენს...

ლამს, ჯვარედინი მყესების გაწყვეტის გამო, ნახევარი წელი „დასვენება“ მოუხდა. მის მაგივრად გერმანიის ნაკრების დაცვის მარცხენა ფლანგზე მარსელ იანსენი დარბოდა. „ბაიერნში“ კი ფილიპი ხალხს მცირე ხნით ბიქსენტ ლიზარაზუმ დაავიწყა. მაგრამ ლამმა ტრავმა მოირჩინა, გუნდში დაბრუნდა და ლიზარაზუც ამოაგდო შემადგენლობიდან. ფილიპ ლამი ნაკრებშიც გულღიად მიიღეს. აკი გაიტანა მუნდიალზე გოლი საოცრება... მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულებამდე ჯერ საკმაო დროა დარჩენილი და ფილიპიც კიდევ დიდხანს ითამაშებს — იგი ხომ ჯერ მხოლოდ 22 წლისაა...

ლადო ხოფერია

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრისტენ პაზიკს — ანდრეი შევჩენკოს ამერიკელ ცოლს აქ ძებნას ტყუილად ნუ დაუწყებთ. სხვა უკრაინელი ფეხბურთელების მეუღლეები კი — აგერ. ამათი ფოტოები პაზიკისაზე ნაკლებად ფასობს, თუმც ზოგიერთს არაუშავს.

მარტინ ლუთერს კი გერმანელებმა ბურთი დააჭერინეს ხელში. ამონაწერი ენციკლოპედიიდან: წინამძღოლი გერმანული რეფორმაციისა. გერმანელი პროტესტანტიზმის (ლუთერანობის) დამაარსებელი. ბიბლიის გერმანულად მთარგმნელი. მოკლედ, დიდი ვინმე იყო, ენციკლოპედიების მიღმა დარჩენილი ცნობებიდან კი მოგახსენებთ, რომ მამამისი შავი მუშა იყო და მერე გამდიდრდა.

ეს ბავშვები კი, ხორვატიული საბნებით, ღმერთმა გაუზარდოს თავიანთ მშობლებს. თორემ ცოლების ფოტო და ლუთერის ბურთი სიაფანდობაა — მთავარი ამ ბავშვების ბედნიერი მომავალია.



AFP ზაგრებიდან

AFP ბერლინიდან

სარბიელი ᲓᲐ ᲙᲠᲝᲙᲝ

წარმოგიდგენთ

გაიხსნა ᲙᲠᲝᲙᲝᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲑᲘᲣᲠᲝᲔᲑᲘ: თბილისი – მოსკოვის გამზირი №6; ზესტაფონი – ᲐᲚᲛᲐᲨᲔᲜᲔᲑᲚᲘᲡ №39; გარდაბანი – ᲐᲚᲛᲐᲨᲔᲜᲔᲑᲚᲘᲡ №12

			1	X	2	1-X	1-2	X-2
მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში								
17 ივნისი								
17:00	168	პორტუგალია-ირანი	1.32	4.20	10.00	1.00	1.16	2.95
17:00	169	პორტუგალია-ირანი 0:1	1.95	3.50	2.75			
20:00	170	ჩეხეთი-განა	1.62	3.40	5.50	1.09	1.25	2.10
23:00	171	იტალია-აშშ	1.45	3.70	7.50	1.04	1.21	2.47
23:00	172	იტალია-აშშ 0:1	2.30	3.40	2.40			
18 ივნისი								
17:00	173	იაპონია-ხორვატია	5.20	3.40	1.65	2.05	1.25	1.11
20:00	174	ბრაზილია-ავსტრალია	1.25	5.00	11.00	1.00	1.12	3.43
20:00	175	ბრაზილია-ავსტრალია 0:1	1.60	3.70	3.70			
23:00	176	საფრანგეთი-ს კორეა	1.40	4.00	7.50	1.03	1.17	2.60
19 ივნისი								
17:00	178	ტოგო-შვეიცარია	7.00	3.80	1.45	2.46	1.20	1.04
20:00	179	ს.არაბეთი-უკრაინა	8.50	3.90	1.37	2.67	1.17	1.01
23:00	180	ესპანეთი-ტუნისი	1.30	4.20	11.00	1.00	1.16	3.03
იტალია. სერია C1/A								
18 ივნისი								
18:00	355	ჯენოა-მონცა	1.60	3.10	6.00	1.05	1.26	2.04
ესპანეთი. II დივიზიონი								
17 ივნისი								
21:00	118	კასტელონი-ალბაცეტი	2.55	2.70	2.80	1.31	1.33	1.37
22:00	119	სიუდადი-ტარაგონა	1.85	3.00	3.80	1.14	1.24	1.67
20:00	120	ეიბარი-ფერროლი	2.25	2.90	3.10	1.26	1.30	1.49
20:30	121	სპორტინგი-მურსია	2.05	2.80	3.50	1.18	1.29	1.55
22:00	123	ლეიდა-ლევანტე	5.80	2.40	1.80	1.69	1.37	1.02
22:00	124	ლორკა-ეხიდო	1.70	3.30	4.30	1.12	1.21	1.86
21:00	125	ნუმანსია-რეალი(ბ)	2.10	2.80	3.50	1.20	1.31	1.55
22:00	126	ტენერიფე-ალბასეტე	2.15	2.90	3.10	1.23	1.26	1.49
22:00	127	ვალიადოლიდი-ელჩე	2.00	2.90	3.50	1.18	1.27	1.58
22:00	128	სერესი-მალაგა ბ	1.70	3.30	4.50	1.12	1.23	1.90
18 ივნისი								
20:00	122	პერუჯესი-უელვა	2.80	2.70	2.55	1.37	1.33	1.31
დანია. I დივიზიონი								
17 ივნისი								
15:00	130	ბრაინსპოი-სკიოლდი	2.25	3.50	2.55	1.36	1.19	1.47
18 ივნისი								
17:00	129	ბრაბრანდი-რანდერსი	5.00	3.00	1.70	1.87	1.26	1.08
17:00	131	ფრედერისია-კიოგე	3.80	3.70	1.65	1.87	1.15	1.14
17:00	132	ჰერფიოლგე-ფრემადი	2.05	3.50	2.80	1.29	1.18	1.55
17:00	133	ჰელერუპი-ჰადერსლევი	2.30	3.10	2.65	1.32	1.23	1.42
17:00	136	ოლსტიკე-ფრემი	2.05	3.50	2.90	1.29	1.20	1.58
შვედეთი								
სუპერეტა								
17 ივნისი								
18:00	138	დეგერფორსი-იონკოპინგი	2.15	3.20	2.75	1.28	1.20	1.47
18:00	139	ლიუნგსკილე-ქალმარი	1.40	4.00	6.00	1.03	1.13	2.40
18:00	140	სუნდსვალი-ჰალმიადი	1.90	3.30	3.50	1.20	1.23	1.69
18:00	141	უმეა-ლანდსკრონა	3.30	3.30	1.90	1.64	1.20	1.20
18 ივნისი								
20:00	142	აბერდინი-ტრანმერი	2.75	3.20	2.20	1.47	1.22	1.30
20:00	143	ფალკენბერგი-ასარიტა	2.70	3.20	2.25	1.46	1.22	1.32
19 ივნისი								
21:00	144	ბრომაპოიკარნა-ვესტი	1.90	3.20	3.30	1.19	1.20	1.62
21:00	145	იორეტეო-ნორჩიოპინგი	1.80	3.30	3.75	1.16	1.21	1.75
აშშ								
17 ივნისი								
23:45	146	ნიუ ინგლენდი-ვაშინგტონი	2.35	3.00	2.70	1.31	1.25	1.42
23:45	147	ნიუ იორკი-ლოს ანჯელესი	1.90	3.20	3.60	1.19	1.24	1.69
23:45	148	პიუსტონი-ხოლტ ლეიკი	1.70	3.30	4.50	1.12	1.23	1.90
23:45	149	კანზასი-ჩიკაგო	2.00	3.20	3.10	1.23	1.21	1.57
18 ივნისი								
23:45	150	ჩივასი-კოლაბუსი	2.25	3.10	2.85	1.30	1.25	1.48
ჩილე								
17 ივნისი								
23:30	352	უანიპატო-კობრეკოა	1.90	3.20	3.40	1.19	1.21	1.64
18 ივნისი								
23:00	353	უნ ჩილე-უნ კატოლიკა	2.40	3.20	2.50	1.37	1.22	1.40
23:45	354	უნ კონსეპსიონი-აუდაქსი	1.95	3.30	3.20	1.22	1.21	1.62

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

შრეს ბარეშე (ძირ დრო)

16168	პორტუგალია-ირანი	1.10 — 4.80
16170	ჩეხეთი-განა	1.25 — 3.10
16171	იტალია-აშშ	1.13 — 4.00
16173	იაპონია-ხორვატია	3.00 — 1.25
16174	ბრაზილია-ავსტრალია	1.03 — 6.30
16176	საფრანგეთი-ს კორეა	1.15 — 4.20
16178	ტოგო-შვეიცარია	3.50 — 1.20
16179	ს.არაბეთი-უკრაინა	4.20 — 1.15
16180	ესპანეთი-ტუნისი	1.07 — 5.00

ბოლი:ᲬᲘᲚᲘ-10ᲬᲣ ᲙᲜᲢᲘ-2 (0:0 ᲘᲗᲕᲚᲘᲗ ᲬᲘᲚᲘᲡᲐᲓ)

17168	პორტუგალია-ირანი	1.85 — 1.95
17170	ჩეხეთი-განა	1.85 — 1.95
17171	იტალია-აშშ	1.85 — 1.95
17173	იაპონია-ხორვატია	1.85 — 1.95
17174	ბრაზილია-ავსტრალია	1.85 — 1.95
17176	საფრანგეთი-ს კორეა	1.85 — 1.95
17178	ტოგო-შვეიცარია	1.85 — 1.95
17179	ს.არაბეთი-უკრაინა	1.85 — 1.95
17180	ესპანეთი-ტუნისი	1.85 — 1.95

რამდენი ბოლი ბავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

12168	პორტუგალია-ირანი	1.80 — 1.75
12170	ჩეხეთი-განა	1.70 — 1.90
12171	იტალია-აშშ	1.70 — 1.90
12173	იაპონია-ხორვატია	1.70 — 1.90
12174	ბრაზილია-ავსტრალია	2.00 — 1.60
12176	საფრანგეთი-ს კორეა	1.70 — 1.90
12178	ტოგო-შვეიცარია	1.70 — 1.90
12179	ს.არაბეთი-უკრაინა	1.70 — 1.90
12180	ესპანეთი-ტუნისი	1.90 — 1.70

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში ბოლს (ძირ. დრო)

13168	პორტუგალია-ირანი	1.90 — 1.70
13170	ჩეხეთი-განა	1.70 — 1.90
13171	იტალია-აშშ	1.90 — 1.70
13173	იაპონია-ხორვატია	1.70 — 1.90
13174	ბრაზილია-ავსტრალია	1.90 — 1.60
13176	საფრანგეთი-ს კორეა	1.70 — 1.90
13178	ტოგო-შვეიცარია	1.90 — 1.70
13179	ს.არაბეთი-უკრაინა	1.90 — 1.70
13180	ესპანეთი-ტუნისი	1.90 — 1.70

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს (მატჩის 0-0 დასრულების შემთხვევაში, ორივე შანსი დაგებულად ჩაითვლება)

14168	პორტუგალია-ირანი	1.15 — 2.60
14170	ჩეხეთი-განა	1.40 — 2.40
14171	იტალია-აშშ	1.20 — 2.60
14173	იაპონია-ხორვატია	2.40 — 1.40
14174	ბრაზილია-ავსტრალია	1.05 — 2.90
14176	საფრანგეთი-ს კორეა	1.20 — 2.60
14178	ტოგო-შვეიცარია	2.50 — 1.20
14179	ს.არაბეთი-უკრაინა	2.50 — 1.15
14180	ესპანეთი-ტუნისი	1.04 — 2.90

ᲕᲘᲜ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲡ ᲗᲐᲛᲐᲨᲡ

19168	პორტუგალია-ირანი	1.85 — 1.85
19170	ჩეხეთი-განა	1.85 — 1.85
19171	იტალია-აშშ	1.85 — 1.85
19173	იაპონია-ხორვატია	1.85 — 1.85
19174	ბრაზილია-ავსტრალია	1.85 — 1.85
19176	საფრანგეთი-ს კორეა	1.85 — 1.85
19178	ტოგო-შვეიცარია	1.85 — 1.85
19179	ს.არაბეთი-უკრაინა	1.85 — 1.85
19180	ესპანეთი-ტუნისი	1.85 — 1.85

ᲕᲘᲜ ᲛᲝᲐᲬᲘᲓᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲙᲣᲗᲮᲣᲠᲡ (ძირ. დრო)

20168	პორტუგალია-ირანი	1.45 — 2.35
20170	ჩეხეთი-განა	1.60 — 2.00
20171	იტალია-აშშ	1.55 — 2.10
20173	იაპონია-ხორვატია	1.90 — 1.60
20174	ბრაზილია-ავსტრალია	1.40 — 2.40
20176	საფრანგეთი-ს კორეა	1.50 — 2.20
20178	ტოგო-შვეიცარია	2.00 — 1.55
20179	ს.არაბეთი-უკრაინა	2.20 — 1.50
20180	ესპანეთი-ტუნისი	1.40 — 2.30

კუთხურების რაოდენობა (ძირ. დრო) 10,5

22168	პორტუგალია-ირანი	1.80 — 1.80
22170	ჩეხეთი-განა	1.70 — 1.85
22171	იტალია-აშშ	1.70 — 1.85
22173	იაპონია-ხორვატია	1.80 — 1.80
22174	ბრაზილია-ავსტრალია	1.80 — 1.80
22176	საფრანგეთი-ს კორეა	1.70 — 1.85
22178	ტოგო-შვეიცარია	1.70 — 1.85
22179	ს.არაბეთი-უკრაინა	1.70 — 1.90
22180	ესპანეთი-ტუნისი	1.80 — 1.80

რომელ ტაიმში ბავა მეტი ბოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15168	პორტუგალია-ირანი	3.00	2.80	2.00
15170	ჩეხეთი-განა	3.00	2.80	2.00
15171	იტალია-აშშ	3.00	2.80	2.00
15173	იაპონია-ხორვატია	3.00	2.80	2.00
15174	ბრაზილია-ავსტრალია	3.00	2.80	2.00
15176	საფრანგეთი-ს კორეა	3.00	2.80	2.00
15178	ტოგო-შვეიცარია	3.00	2.80	2.00
15179	ს.არაბეთი-უკრაინა	3.00	2.80	2.00
15180	ესპანეთი-ტუნისი	3.00	2.80	2.00

ᲕᲘᲜ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲒᲐᲖᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲐᲡ (ᲒᲐᲖ) (ძირ. დრო)

21168	პორტუგალია-ირანი	2.10	10.00	1.60
21170	ჩეხეთი-განა	2.00	10.00	1.60
21171	იტალია-აშშ	2.00	10.00	1.60
21173	იაპონია-ხორვატია	1.70	10.00	1.90
21174	ბრაზილია-ავსტრალია	2.30	10.00	1.50
21176	საფრანგეთი-ს კორეა	2.00	10.00	1.60
21178	ტოგო-შვეიცარია	1.60	10.00	2.10
21179	ს.არაბეთი-უკრაინა	1.60	10.00	2.10
21180	ესპანეთი-ტუნისი	2.10	10.00	1.55

ᲘᲫᲜᲔᲑᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲢᲩᲨᲘ ᲞᲔᲜᲐᲚᲢᲘ (ძირ.*დრო)

23168	პორტუგალია-ირანი	2.90 — 1.32
23170	ჩეხეთი-განა	3.00 — 1.30
23171	იტალია-აშშ	3.00 — 1.30
23173	იაპონია-ხორვატია	3.00 — 1.30
23174	ბრაზილია-ავსტრალია	2.90 — 1.32
23176	საფრანგეთი-ს კორეა	3.00 — 1.30
23178	ტოგო-შვეიცარია	3.00 — 1.30
23179	ს.არაბეთი-უკრაინა	3.00 — 1.30
23180	ესპანეთი-ტუნისი	3.00 — 1.30

ᲕᲘᲜ ᲛᲝᲐᲬᲘᲓᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲐᲣᲢᲡ

24168	პორტუგალია-ირანი	1.80 — 1.80
24170	ჩეხეთი-განა	1.80 — 1.80
24171	იტალია-აშშ	1.80 — 1.80
24173	იაპონია-ხორვატია	1.80 — 1.80
24174	ბრაზილია-ავსტრალია	1.80 — 1.80
24176	საფრანგეთი-ს კორეა	1.80 — 1.80
24178	ტოგო-შვეიცარია	1.80 — 1.80
24179	ს.არაბეთი-უკრაინა	1.80 — 1.80
24180	ესპანეთი-ტუნისი	1.80 — 1.80

I ᲢᲐᲘᲛᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10168	პორტუგალია-ირანი	1.60	2.50	6.00	1.00	1.26	1.76
10170	ჩეხეთი-განა	2.00	2.10	5.20	1.02	1.44	1.49
10171	იტალია-აშშ	1.80	2.20	5.30	1.00	1.34	1.55
10173	იაპონია-ხორვატია	5.30	2.00	2.10	1.45	1.50	1.02
10174	ბრაზილია-ავსტრალია	1.45	2.70	9.00	1.00	1.24	2.07
10176	საფრანგეთი-ს კორეა	1.80	2.20	6.50	1.00	1.40	1.64
10178	ტოგო-შვეიცარია	7.30	2.30	1.80	1.74	1.44	1.00
10179	ს.არაბეთი-უკრაინა	7.00	2.40	1.75	1.78	1.39	1.01
10180	ესპანეთი-ტუნისი	1.55	2.50	8.00	1.00	1.29	1.90

I ᲢᲐᲘᲛᲘ/ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲓᲠᲝ

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11168	პორტუგალია-ირანი	1.70	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00
11170	ჩეხეთი-განა	2.30	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	7.00
11171	იტალია-აშშ	1.95	12.00	25.00	3.50	4.60	10.00	20.00	10.00	9.00
11173	იაპონია-ხორვატია	6.50	10.00	20.00	7.50	4.40	3.50	20.00	10.00	2.40
11174	ბრაზილია-ავსტრალია	1.50	15.00	30.00	3.50	5.00	11.00	20.00	11.00	11.00
11176	საფრანგეთი-ს კორეა	2.00	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00
11178	ტოგო-შვეიცარია	11.00	11.00	20.00	12.00	5.00	3.50	30.00	12.00	2.00
11179	ს.არაბეთი-უკრაინა	12.00	12.00	20.00	12.00	5.30	3.50	30.00	12.00	1.75
11180	ესპანეთი-ტუნისი	1.65	15.00	30.00	3.50	5.00	11.00	20.00	11.00	11.00

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაიზუსტეთ

ბადრი ჯობელაძის ფოტო

ზურაბ დოლიძეგვაზავილის ფოტო

ბათუმი და თბილისი რუსთავში ერთიანდებიან

„ბათუმის“ მომავალი მხოლოდ ადგილობრივ ქომაგებს როდი აღელვებთ. ჩვენც დღეში რამდენჯერმე ვუკავშირდებით კლუბის ხელმძღვანელობას დამაიმედებელი სიახლის მოლოდინში — თანახმაა თუ არა ინგლისელი სპონსორი, მომავალ ჩემპიონატშიც შეეხიდოს აჭარულ გუნდს.

გუშინ „ბათუმის“ ხელმძღვანელ **ზურაბ ჯაფარიძეს** ამავე კითხვით მივმართეთ და პასუხი მოულოდნელი კი არა, სენსაციური აღმოჩნდა...

— გადავწყვიტეთ, „თბილისთან“ გაერთიანდეთ და უმაღლეს ლიგაში რუსთავის „ოლიმპის“ სახელით ვითამაშოთ.

— რუსთავი რა შუაშია?

— ჩვენს ინგლისელ სპონსორს ბიზნესი რუსთავში აქვს და ასეთი არჩევანი ამან განაპირობა.

— როდის აპირებთ გუნდის შეკრებას?

— ვარჯიშს ალბათ 18 ივნისიდან დავიწყებთ.

— მთავარი მწვრთნელი ოთარ ან დავიწყებთ.

— ბატონ ოთარს ვესაუბრეთ. მან თავისი პირობები გვითხრა, მოვიფიქრებთ და პასუხს ვეტყვით.

— „ბათუმიდან“ რომელი ფეხბურთელები მოგყავთ?

— ვისაც სურვილი ექნება და ვინც ახალი გუნდის მოთხოვნებს დააკმაყოფილებს, ყველა.

— „თბილისი“ გასაგებია, მაგრამ ვინ ითამაშებს უმაღლეს ლიგაში „ბათუმის“ სახელით?

— ამაზე ვეღარაფერს გეტყვით, გაბელია იქნება?

— ამაზე ვეღარაფერს გეტყვით, ჩვენ „ბათუმიდან“ წამოვედით.

ბუნებრივია, ამის შემდეგ „თბილისის“ ხელმძღვანელობის პოზიციითაც დავინტერესდით და მამუკა გუგეშაშვილს ვთხოვეთ კომენტარი...

— ჯერჯერობით არაფერია გადაწყვეტილი, 18 ივნისს დილის ათ საათზე კიდევ ერთხელ შევხვდებით და ყველაფერი მერეღა გაირკვევა. ახლა კი სხვას ვერაფერს გეტყვით.

გიორგი ნოზაძე

ინვესტორ-უინვესტოროდ, ბათუმი ბათუმი იქნებაო...

ზურაბ დოლიძეგვაზავილის ფოტო

რა ეშველება „ბათუმს“? ეს საკითხი ძალიან აქტუალური ხდება. როგორც ჯერაც კლუბის ხელმძღვანელმა ზურაბ ჯაფარიძემ გვითხრა, ყალიბდება ახალი კლუბი რუსთავის „ოლიმპი“ და „ბათუმის“ ინგლისელი ინვესტორიც იქ მიდის.

„ბათუმის“ მომავალზე კი აჭარის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ *ალექსანდრე ახვლედიანს* დავეკითხეთ, თუმცა მთლად გადაწყვეტილი პასუხი ვერ მივიღეთ...

„ჯერჯერობით „ბათუმის“ ინვესტორს ოფიციალურად უარი არ უთქვამს კლუბის დაფინანსებაზე, თუმცა ამაზე ლაპარაკი, დიდი ხანია, ისმის. ხვალ „ბათუმის“ ფარმკლუბი იწყებს ვარჯიშს, 20 ივნისს კი მთავარი გუნდიც დაიწყებს მზადებას. ოთარ გაბელიაც და ფეხბურთელებიც 20-ში ჩვენთან იქნებიან, გათავისუფლების ფურცელი არავისზე გაცემულა. ასე რომ, ყველაფერი სამ-ოთხ დღეში გაირკვევა, ინვესტორიც საბოლოოდ დაადასტურებს, ჩვენთან დარჩება, თუ სხვა კლუბში წავა“.

კი მაგრამ, თუ ინვესტორმა უარი თქვა? მით უმეტეს, რომ ყველაფერი აქეთკენ მიდის. ალექსანდრე ახვლედიანი ამ ვარიანტსაც ითვალისწინებს — ასეც რომ მოხდეს, „ბათუმი“ აუცილებლად დარჩება უმაღლეს ლიგაში, აჭარას აქვს იმის შესაძლებლობა, რომ გუნდს არაფერი მოაკლოს და თუ ახალი ინვესტორიც გამოჩნდება, მთლად უკეთესიო...

ილია ნანობაშვილი

რევიშვილს რუბინის კარიც ანდეს

შვეიცარიაში შეკრებაზე მყოფმა ყაზანის „რუბინმა“ მეორე საკონტროლო მატჩი ითამაშა — იქაურ „სიონთან“ 1:2 წააგო.

შვეიცარიაში პირველი მატჩი რუბინელებმა „არაუსთან“ გამართეს და 2:1 მოიგეს. მაშინ ჩვენებურთაგან „რუბინში“ ლაშა სალუქვაძემ და მიხეილ აშვეთიამ ითამაშეს, „სიონთან“ კი მათ ნუკრი რევიშვილიც დაემატათ — საქართველოს ახალგაზრდული და ერონული ნაკრებების მეკარემ 90 წუთი ითამაშა, ისევე როგორც სალუქვაძემ, ხოლო აშვეთია პირველი ტაიმის შემდეგ შეცვალეს. რაც შეეხება გიორგი ქინქლაძეს, საზარდულის ტრავმის შემდეგ ის ჯერაც არაა ბოლომდე გამოჯანრმთელებული.

შეგახსენებთ, რუსული პრემიერლიგაში ახლა შესვენებაა და „რუბინი“ ჯერჯერობით მეორე ადგილზეა.

ლუკა თალაკვაძე

დემეტრაძემ გეწაძე გაიჯოლა

ალექსანდრე ბაბაევის ფოტო

ისეთი პირი უჩანს, მომავალ სეზონს დონეცკის „მეტალურგი“ სერიოზულად გაძლიერებული შეხვდება. ახალი მთავარი მწვრთნელი, ესპანელი ანხელ ალონსო ამჟამად სასელექციო სამუშაოებითაა დაკავებული. ერთ-ერთი პოზიცია, რომელზეც დონეცკელებს კვალიფიციური ფეხბურთელი სჭირდებათ, მარცხენა ნახევარმცველისაა. ცოტა ხნის წინ დონეცკური კლუბის ხელმძღვანელობას ზაპოროჟიეს „მეტალურგიდან“ დავით კვირკველიას გადაბირება ჰქონდა განზრახული, მაგრამ ზაპოროჟიელებსაც შეძლებული სპონსორები გამოუჩნდნენ, ამბიცია მოემატათ და კვირკველიაც დარჩენაზე დაიყოლიეს.

თუმცა მაინც არის შანსი, მომავალ სეზონში გიორგი დემეტრაძის მხარდამხარ დონეცკში კიდევ ერთმა ქართველმა ითამაშოს — უკვე ერთი კვირაა, იქ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრი რევაზ გეწაძე იმყოფება. გასულ ჩემპიონატში გეწაძე „ბორჯომში“ თამაშობდა, თუმცა დღემდე „თბილისის“ საკუთრებაა და მსურველებს სწორედ ამ კლუბთან მოუწევთ საქმის დაჭერა.

21 ივნისს დონეცკის „მეტალურგი“ სამოყვარულო „სლავხლებთან“ გამართავს საკონტროლო შეხვედრას და პოტენციურ ახალწვეულებს თავის გამოჩენის შანსი მიეცემათ. სამწვრთნელო შტაბი მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვეტს, რომელი მათგანი იახლოს შეკრებაზე — აზოვის ზვისპირეთში დონეცკელები მარიუპოლის „ილიჩევეცს“ და ხარკოვის „მეტალისტს“ გაეჯიბრებიან.

გიორგი ნოზაძე

კოლხეები ორშაბათს ელიან

ფოთის „კოლხეთი“ კვლავ უფულოდ და უპატრონოდაა, თუმცა როგორც კლუბის პრეზიდენტმა მერაბ ასანიძემ გვითხრა, შესაძლოა, ქალაქის გამგეობამ „კოლხეთს“ დახმარების ხელი გაუწოდოს. არის იმის ალბათობაც, რომ კლუბს უკვე პრივატიზებული ფოთის ნავსადგურიც გვერდში დაუდგეს. ნავსადგურის უფროსი ლაშა ახალაძე გაგებით ეკიდება „კოლხეთის“ პრობლემებსო, გვითხრა ასანიძემ.

ამასობაში, „კოლხეთი“ უკვე დატოვა რამდენიმე ფეხბურთელმა — მანუჩარ წიქარიშვილი და ედიშერ მარგალიტაძე საჩხერის „ჩიხურაში“ წავიდნენ, ზამირ ჯანაშია კი „დინამოში“. კოლხეთელი აღარ არის მცველი გიორგი ფარულავა, რომელმაც „ზესტაფონს“ მიაშურა. გათავისუფლების ფურცელი აიღო ნახევარმცველმა გიორგი კილასონიამ, ვინც, შესაძლოა, „ამერში“ აღმოჩნდეს.

„კოლხეთიდან“ წასვლას სხვებიც აპირებენ, მაგრამ ცოტას კიდევ მოიცდიან — კლუბი და მოთამაშეები შეთანხმდნენ, რომ 19 ივნისს დაელოდონ — ამ დღისთვის ბევრ რამ საბოლოოდ გაირკვევა „კოლხეთში“.

ნიკა ჯორჯაძე

ზესტაფონს იმნაძეც გაწვრთნის

ზურაბ დოლიძეგვაზავილის ფოტო

„ზესტაფონს“ ახალი სამწვრთნელო შტაბი ჰყავს — გუნდის თავკაც მერაბ კოჭლაშვილს დაეხმარებიან გიგლა იმნაძე და პაატა ლურსმანაშვილი, ვინც მანამდე „ზესტაფონი 2“-ში საქმიანობდა.

იმნაძე საკმაოდ გამოცდილი მწვრთნელია, უმუშავია ლანჩხუთის „გურიაში“, თბილისის „სპარტაკში“, ბოლნისის „სიონში“... ერთი ხანობა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვთრნელიც იყო.

„ზესტაფონს“ 2005-06 წლების სეზონის ბოლოს კობა ჟორჟიკაშვილი თავკაცობდა, მაგრამ ის იმავდროულად ეროვნულ ნაკრებებშიც საქმიანობს და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ საკლუბო სამსახურის მიტოვება სთხოვა — ჟორჟიკაშვილიც ამად დაშორდა „ზესტაფონს“.

ლუკა თალაკვაძე

დინამომ უეფას 24 გაუგზავნა

კახა კაჭარავამ (მარჯვნივ) შემადგენლობა დაასახელა

თბილისის „დინამო“ დღეს ერევანს მიემგზავრება და ხვალ „რაზდანის“ სტადიონზე ინტერტოტოს გათამაშების საპირველეტაპო მეტოქე „კილიკიას“ გაეჯიბრება. მატჩი ერევანში 7 საათზე დაიწყება, საპასუხო შეხვედრა კი ერთ კვირაში თბილისის „მიხეილ მესხზე“ შედგება...

„კილიკიასთან“ მატჩამდე თბილისის „დინამომ“ იმ 24 ფეხბურთელის ვინაობა გამოაცხადა, რომლებიც თამაშისთვის ემზადებოდნენ. თბილისელებმა ფეხბურთელები უკვე დანომრეს და უეფასაც ამგვარი განაცხადი აახლეს:

12. ზვიად სტურუა, 1. გიორგი ლორია, 4. დავით გიგაური, 3. სერგი ორბელაძე, 27. გიორგი ნავალოვსკი, 15. გულვერდ თომაშვილი, 26. ლევან აკობია, 21. ირაკლი ჩირიკაშვილი, 17. გიორგი მერებაშვილი, 16. უჩა ლობჟანიძე, 13. გიორგი ნერგაძე, 5. შოთა კაშია, 7. შოთა გრიგალაშვილი, 11. მიხეილ ბობოხიძე, 10. გიორგი მეგრელაძე, 14. ჯაბა დვალი, 8. ლევან ხმალაძე, 32. სოსო გრიშიკაშვილი, 28. ამბროზიო, 24. ტერნინი, 31. მიხეილ ხუციშვილი, 9. სანდრო იაშვილი, 22. ირაკლი თოთლაძე, 30. ზამირ ჯანაშია, 18. სანდრო კობახიძე, 19. ნიკოლოზ ფირცხალავა, 25. მათე ვაწაძე, 2. გურამ კაშია, 6. ვალერი ბოლქვაძე, 20. კახა მახარაძე.

გეტყვით, რომ „დინამომ“ ეს შემადგენლობა მხოლოდ საპირველეტაპოდ დაასახელა და შესაძლოა, „კილიკიას“ ძლევის შემთხვევაში თბილისელთა განაცხადში ცვლილებებიც მოხდეს. ამ სიაში კი წინა სეზონის დინამოელებიდან არ არიან ლაშა ნოზაძე და რევაზ ქემოკლიძე, რომლებიც კლუბმა ტრანსფერზე დააყენა, სამაგიეროდ, შემადგენლობაში არიან ახალწვეულები — ბრაზილიელი როდრიგო ტერნინი, ბოლნისის „სიონიდან“ გადაბირებული მიხეილ ხუციშვილი და ფოთის „კოლხეთის“ ყოფილი შემტევი ზამირ ჯანაშია. მეკარე ირაკლი თოთლაძე და ნახევარმცველი ლევან ხმალაძე კი „დინამოს“ წინა სეზონში განათხოვრებული ჰყავდა. მათ გარდა „დინამოს“ განაცხადში რამდენიმე ჭაბუკიცაა, რომლებიც მწვრთნელმა კახა კაჭარავამ „დინამო 2“-დან დაიმატა.

კოგბა ინასარიძე

სანდრო იაშვილი: ბევრ რამეზე ვარ ნაწყენი

დღეს თბილისის „დინამო“ სომხეთის გზას გაუყვება ერევნის „კილიკიასთან“ ინტერტოტოს თასის პირველი ეტაპის პირველი მატჩის სათამაშოდ...

„დინამო“ სეზონს ახალი მთავარი მწვრთნელით, კახა კაჭარავათი იწყებს და ესეც რომ არა, ყოველთვის საინტერესოა, როგორი გუნდი ეყოლება „დინამოს“ ახალ სეზონში...

21 წლის სანდრო იაშვილზე არაერთხელ დაგვინერია. შეიძლება ითქვას, ეს ნიჭიერი ფორვარდი ზღვარს მიუახლოვდა — თუ ახლა არ გაიხსნა ბოლომდე, ან უცხოურ გუნდში არ გადავიდა, მისი კარგი მონაცემები საქართველოს ჩემპიონატის დონეს ალბათ ვეღარ გასცდება...

იაშვილი 2005-06 წლების სეზონის პირველი ეტაპის მეორე ნახევარში „დინამოს“ წამყვან ფეხბურთელად წარმოჩინდა, მაგრამ მერე საზარდულის ტრავმის გამო არცთუ ცოტა გაუცდა.

ზამთარში „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი ანდრეი ჩერნიშოვი გახდა, ხოლო იაშვილმა და კლუბმა კონტრაქტი 2008 წლამდე გაავრძელეს. თუმც მეორე წრეში ჩერნიშოვმა იაშვილი „დინამოს“ სარეზერვო გუნდში გადაიყვანა...

— მიგაჩნია, რომ 2005-06 წლების სეზონში ერთ ადგილას გაჩერდი?

— „ასეა, წინ ვეღარ წავედი. ახალგაზრდულ ნაკრებში ალბანეთთან ამხანაგური მატჩის მერე აღარ გამომიძახეს და „დინამოშიც“ აღარ მათამაშებდნენ.

— ჩერნიშოვმა „დინამო 2“-ში რომ გადაგიყვანა, რისი ბრალი იყო?

— ბოლნისში „სიონთან“ რომ გამაძევეს, მწვრთნელმა მას შემდეგ მიიღო ასეთი გადაწყვეტილება. საერთოდ, ხელის შეწყობას ვერ ვგრძნობ — ვისაც უნდა მართებდეს ეს, მას ამის გაკეთება არ უნდა. ბევრ რამეზე ვარ ნაწყენი. რაც არ ვარ, ისეთი სახელი შემიქმნეს და თითქმის ყველა მწვრთნელი რაღაცნაირად, შიშით მიყურებს. მაგრამ ფეხბურთს მაინც ვითამაშებ. რაც შეეხება იმას, რამდენად საქართველიანი იყო „სიონთან“ გაძევების გამო ჩემი მეორე გუნდში გადაყვანა, ეს სხვამ განსაჯოს.

— თქვი, ერთ ადგილას გაჩერდიო — მაშ, რაღატომ გააგრძელე კონტრაქტი „დინამოსთან“?

— იმ მომენტში სხვა შემოთავაზება არ მქონდა, თანაც ვგრძნობდი, რომ მაშინ „დინამოში“ მენდობოდნენ და გუნდს ვჭირდებოდი.

— ჩერნიშოვმა ახლახან რუსულ „სპორტ-ექსპრესს“ განუცხადა, „დინამოს“ წარმატების მიღწევა უნდოდა, მაგრამ სათანადო პირობები და გუნდი არ ჰყავდო. მაინც რა ხდებოდა „დინამოში“ ჩერნიშოვის დროს, რატომ დარჩა გუნდი უტიტულოდ?

— მწვრთნელი უნდა მოერგოს გუნდს, უნდა იცოდეს სად, რა გუნდში მიდის. მაღალი დონის მწვრთნელი იმას არ იტყვის, ბევრს ითხოვდნენ, მაგრამ სათანადო დონის გუნდი არ იყო. წარუმატებლობა მწვრთნელმა პირველ რიგში საკუთარ თავს უნდა დააბრალოს.

— რა სიახლეები შემოიტანა კაჭარავამ „დინამოში“? როგორი იქნება ეს „დინამო“?

— ამის თქმა ჯერ შეუძლებელია, ამას თამაშები გვიჩვენებს.

— „კილიკიასთან“ მატჩზე რას იტყოდი?

— ადვილი თამაში არ იქნება, სომხეთის ჩემპიონატი ცხრა ტურის დაწყებულია, ჩვენ კი სეზონს ახლა ვიწყებთ. 10 ივნისიდან ერთჯერად ვარჯიშებზე გადავედით, მანამდე კი დღეში ორჯერ ვვარჯიშობდით. ვნახოთ...

— ამ ეტაპზე უცხოეთში წასვლის რა პერსპექტივა გაქვს?

— „დინამოზეც“ ვფიქრობ და კარიერაზეც, წასვლამდე ჯერ „დინამოში“ უნდა ვითამაშო კარგად და თუ გრანდებს არ ჩავთვლით, სადაც არ უნდა წავიდე, ყველგან უპრობლემოდ ვითამაშებ.

დავით თავართქილაძე

გოგობერიშვილი და ბაკი გაგრძელდა

გუშინ 29 წლის ალეკო გოგობერიშვილმა ბაქოს „ბაკისთან“ ახალ კონტრაქტს მოაწერა ხელი — გოგობერიშვილი „ბაკიში“ კიდევ ერთ სეზონს ითამაშებს.

გოგობერიშვილი აზერბაიჯანულ კლუბში 2005 წლის ზამთარში მივიდა და იმ სეზონში „ბაკისთან“ ერთად აზერბაიჯანის თასი მოიგო, წლეულს კი ჩემპიონი გახდა და შეგახსენებთ, რომ აწ დასრულებულ სეზონში „ბაკიში“ ალექსანდრე რეხვიაშვილიც გამოდიოდა, ვისაც კონტრაქტი დაუმთავრდა.

— „ბაკის“ გარდა კიდევ სამი აზერბაიჯანული გუნდი მეპატიჟებოდა, მაგრამ „ბაკის“ უკვე შევეჩვიე, კარგი პირობებიც შემომთავაზა და ამიტომაც გადავწყვიტე დარჩენა. ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩში „ბაკის“ ვერ დავეხმარები, რადგან აქილევსის მყესი მაწუხებს და ვმკურნალობ, მეორე მატჩისთვის კი იქნებ მზად ვიყო — გვითხრა გუშინ გოგობერიშვილმა.

დავით თავართქილაძე

ანგოლა მსოფლიოს ჩემპიონია

შუადღის ხუთი საათიდან ქუჩებში ხალხისა და მანქანების სიხალვათე იგრძნობა, გაგანია მსოფლიოს ჩემპიონატია და ყველა გულშემატკივრისთვის ზეიმის დღეებია. სწორედ მუნდიალის იმიტაციით ჩატარდა 1995 წელს დაბადებულ ბავშვთა 24-გუნდიანი ტურნირიც, რომელიც ველოტრეკთან მდებარე მინი-მოედანზე გაიმართა.

ყველას ერგო მუნდიალის ნაკრების სახელები: მაგალითად, „ირაოს“ ანგოლა დაერქვა, „დინამოს“ — ხორვატია, „ლოკომოტივს“ — „იაპონია“ და ასე შემდეგ.

მუნდიალს ანგოლა ვერანაირად ვერ მოიგებს, მაგრამ ბავშვთა ტურნირი კი მოიგო... დიახ, „ირაომ“ იჩემპიონა. „ანგოლელებმა“ ჯგუფურ ეტაპზე „ინგლისს“ 6:2, „მექსიკას“ — 3:0, „ესპანეთს“ კი 4:1 სძლიეს; მეოთხედფინალში „თვით“ „იტალიას“ 6:1 აჯობეს, ნახევარფინალი და ფინალი კი პენალტებით მოიგეს — „ხორვატიასთან“ 3:3 (პენ. 4:2), „იაპონიასთან“ კი 2:2 (პენ. 4:2).

„ანგოლა“

ჩემპიონების, ანუ „ანგოლას“ დამრიგებელი „ირაოს“ სკოლის მთავარი მწვრთნელი ლევან ანდღულაძე გახლავთ, მწვრთნელი კი თამაზ ოდიშელიძეა.

„ირაომ“ 1997 წელს დაბადებულთა ტურნირზეც იჩემპიონა — ნოდარ ახალკაცის ხსოვნის ტურნირის ფინალში „ირაომ“ „ნორჩ დინამოელს“ 2:1 მოუგო. გამარჯვებულთაგან გოლები გეგა ფირცხალავამ და ანდრო კახაძემ გაიტანეს, წაგებულთაგან კი — ემზარ შურღაიამ. „ირაოს“ მწვრთნელები კი გელა კაკულია და ზაზა მაღრაძე არიან.

მესამე-მეოთხე ადგილები, შესაბამისად, „საბურთალომ“ და „ლიდერმა“ დაიკავეს, ხოლო რაც შეეხებათ გამორჩეულ მოთამაშეებს: საუკეთესო მეკარე — მიხეილ ირემაშვილი (დინამო), თავდამსხმელი — გეგა ფირცხალავა (ირაო), ბომბარდირი — ვატო არველაძე (ირაო), საუკეთესო ფეხბურთელი — ნიკა ქორიძე (ირაო).

ილია ნანობაჯვილი

ოლიმპიური გადატრიალება

მარკოიშვილს სეზონი მაჰორიჩმა გაუხანგრძლივა

ახლახან გაჩემპიონებულ ლიუბლიანის „ოლიმპიას“ გუშინწინ ახალი მწვრთნელი დაუნიშნეს. მანუჩარ მარკოიშვილის გუნდს ზმაგო საგადინის ნაცვლად სლოვენიის საუკეთესო გუნდს ტომო მაჰორიჩი დამოძღვრავს. ეს სპეციალისტი სულაც არაა ლიუბლიანელთათვის უცხო — 2 წლის წინ მისი მეთაურობით „ოლიმპიამ“ სლოვენიაშიც იპირველა და ევროლიგაშიც მოიხვეჭა თავისი წილი წარმატებები. ახალდანშნულ მწვრთნელს ცხადია სურს, შეგირდები საქმეში ნახოს და ოლიმპიელთათვისაც სეზონი გრძელდება. გუნდში დატოვეს ყველა ის კალათბურთელი, რომელსაც მოქმედი კონტრაქტი აქვს და ორშაბათიდან ოლიმპიელები ორჯერად ვარჯიშებზე ახალი მწვრთნელის ხელმძღვანელობით გადავლენ. გუშინ მარკოიშვილს ლიუბლიანაში შევეხმიანეთ და თავდაპირველად ახალგაზრდულ ნაკრებზე ჩამოვუგდეთ სიტყვა...



— ახალგაზრდები უკვე შეიკრიბნენ, შენც გელოდებიან და როდის ჩამოდიხარ?

— მინიმუმ თვის ბოლომდე ვერ ჩამოვალ, გუშინ ახალი მწვრთნელი დაგვინიშნეს და მას მოთამაშეთა შემოწმება სურს.

— ტომო მაჰორიჩისთვის შენ არ უნდა იყო უცნობი...

— მაჰორიჩს პირადად კი ვიცნობ, მაგრამ ის ჩემი მწვრთნელი არასდროს ყოფილა. რომც ყოფილიყო, გუნდიდან მაინც არავინ გამომიშვებდა. ყველა კონტრაქტიანი აქ ვართ.

— ამას წინათ თქვი, გუნდიდან ლეგიონერების გაშვება უნდათო...

— ყველა ლეგიონერი გაუშვეს, უფრო სწორად, მათ კონტრაქტები დაუმთავრდათ და გუნდი დატოვეს. ძველებიდან მხოლოდ მე დავრჩი ლეგიონერი, რამდენიმე სლოვენიელი კი ამ დღეებში შემოგვემატა. მარკო მილიჩს და ლორენ ლორბეკს „ოლიმპიამ“ გუშინ გაუფორმა კონტრაქტები. არის კიდევ 2 სერბი, რომლებიც გასინჯვაზე არიან.

— შენი ამბავი როგორ იქნება?

— მე კიდევ ორწლიანი გარანტირებული კონტრაქტი მაქვს და არაფერზე ვნერვიულობ. ვაკეთებ იმას, რასაც კლუბის ხელმძღვანელები მეუბნებიან. აქამდე ფიზმომზადების მწვრთნელი გვავარჯიშებდა, ორშაბათიდან კი უშუალოდ მაჰორიჩი შეუდგება მუშაობას. ჩვეულებრივ, ორჯერადი ვარჯიშები გვექნება, ისევე, როგორც შუა სეზონის დროს.

— მწვრთნელი რატომ გამოცვალეს, ჩემპიონები ხომ გახდით...

— ჩემთვისაც გაუგებარი იყო მწვრთნელის დათხოვნა. ჩემპიონები რომ გავხდით, ვითომც არაფერი, თითქოს ასე უნდა მომხდარიყო და კლუბის ხელმძღვანელებს ერთი სამადლობელი სიტყვა არ დასცდენიათ საგადინის მიმართ. ის კი არა, აგერ, დაითხოვეს კიდეც.

— მაჰორიჩს არ შეხვედრიხარ?

— ჯერ არა, ორშაბათს პირდაპირ ვარჯიშზე მოვა და მუშაობას შეუდგება. იმედი მაქვს, კარგი თვალით შემომხედავს და მის სათამაშო სქემაში ადგილსაც დავიმსახურებ.

ირაკლი პერტაია

თბილისის შვიდკაცა

გია ლაბაძე ამჯერად ვერ იშვიდკაცებს

გადრი კეთილაძის ფოტო

ევროპული შვიდკაცა უფასოდ

დღეს და ხვალ ვაკეში, „ლოკომოტივზე“ ევროპული შვიდკაცას ათგუნდა ეტაპია. მასზე დასწრება უფასოა, რაკი ტურნირი თბილისის მერიის ხელშეწყობით იმართება, გენერალური სპონსორი კი ქართული რაგბის დიდი ქომაგი კომპანია „მეშვიდე ცაა“.

თბილისური ხვატის გამო ვაკის შვიდკაცას ორგანიზატორებმა განრიგი მკვეთრად შეცვალეს. დავაზუსტოთ, შეჯიბრი დილა-საღამოს გრაფიკით გაიმართება. დილის მატჩები ორივე დღეს 9-ზე დაიწყება და შუადღისთვის დასრულდება. საღამოს კი 5-ზე განახლდება შვიდკაცობა და რვისნახევრამდე უეჭველად დასრულდება, რადგან მერე „ლოკომოტივზე“ ვეება ეკრანი იდგმება და ფეხბურთის ფინობა იკრიბება.

საქართველო შაბათს დილით ეთამაშება უკრაინას, აზერბაიჯანს, საღამოს 5-დან კი რუსეთს და ბულგარეთს. თასის ნახევარფინალები კვირას დილის თეთრმეტ საათზე გაჩაღდება, ფინალი კი საღამოს შვიდზეა დანიშნული.

საქართველოს ნაკრებს უთავკაცებენ „ხულიგანას“ მწვრთნელი მამუკა ტყეშელაშვილი და 13-კაცა ნაკრების მოძღვარი და აღიარებული მომშვიდკაცე კახა ალანია.

მწვრთნელთა დუეტმა ვაკის შვიდკაცისთვის რიგიანი რაზმი შეკრიბა, რაც გვაფიქრებინებს, რომ ჩვენი გუნდი თასისთვისაც იბრძოლებს და აქ დაგროვილი ქულებით უპრობლემოდაც გავა ევროპული სერიის 12-გუნდა მოსკოვურ ფინალში.

საქართველოს ნაკრების საშვიდკაცო რაზმი ასეთია: *ირაკლი გუნდიშვილი, რევაზ გიგაური, ნიკა მხეიძე, ლექსო გუგავა (ყველა ლოკომოტივი), ვახტანგ აბვლედიანი (ხულიგანა), ბიძინა სამხარაძე (კონსტანცა, რუმინეთი), სანდრო ნიკარაძე (ყოჩები), ირაკლი აბუსერიძე (ორლეანი, საფრანგეთი), ირაკლი მაჩხანელი (მეზიე, საფრანგეთი), გიორგი შკინინი (ჩიტა, რუსეთი)*



15 ივნისი. მაიამი. „ამერიჯან ეალაინზ არენა“. 20 145 მაყურებელი

დალასი 2:2 მაიამი

მაიამი 98:74 დალასი

30:25 24:19 24:23 20:7

მაიამი: უილიამსი (6), ვეიდი (36), უოლკერი (14), ჰასლემი (2), ონილი (17 ქულა, 13 მოხსნა); პოუზი (15 ქულა, 10 მოხსნა), მურნინგი (4), პეიტონი (2), შ. ანდერსონი (2), კაპონო, დოლიკი

დალასი: ტერი (17), ჰარისი (11), ჰოვარდი (3), ნოვიცკი (16), დიოპი (5); სტეკჰაუსი (16), გრიფინი (6), დამპიე, არმსტრონგი, ვან ჰორნი, დანიელსი, პაუელი

სამშვიდობოზე გასულ შაკს შვილები გაახსენდა

AFP მაიამიდან

ნოვიცკის „დალასი“ შაკის „მაიამისთან“ მაგრად შერცხვა

ჯერ კიდევ ორი დღის წინ, მესამე თამაშის დამთავრებამდე ორიოდ წუთით ადრე ყველას ეგონა, რომ ფინალი ყოველგვარი დრამატიზმის გარეშე, ნაუცბათევად და გაუხურებლად დასრულდებოდა. მაგრამ თურმე ყველაფერი წინ იყო. „მაიამიმ“ ის ნაადრევად წაგებული თამაში დუეინ ვეიდის სასწაულების წყალობით მოუგო „დალასს“, მერე კი მეოთხე ჯახში საერთოდ მიწასთან გაასწორა დირკ ნოვიცკი და კომპანია, ანგარიში 2:2 გაათანაბრა და ყველაფერი საწყის წერტილზე დააყენა.

ვეიდმა კვლავ იბოგინა ტეხასელთა ქებულ დაცვაში და 42-ქულიან მატჩს 36-იანი მიაყოლა. მაგრამ მარტო ეს ჭაბუკი მექულე როდი ატკივებდა თავს სტუმრებს, რომლებმაც ავადსახსენებელი მესამე მატჩის იმ საშინელი მეოთხე მეოთხედის შემდეგ საერთოდ დაკარგეს თავი. აღმოჩნდა, რომ „მაიამის“ სათადარიგოები ჰყოლია და დამწყები ხუთეულის არაერთ წევრზე ხელჩაქნეულ პატ რაილის სკამზე მიძინებულთა გამოფხიზლება არ აწყენს.

სათადარიგოებიდან საუკეთესო იყო 203-სანტიმეტრიანი მსუბუქი ფორვარდი ჯეიმს პოუზი, ვინც ქულა-მოხსნების დუბლობით მოხვეჭის გარდა მეტოქეთა ყოჩს და მასზე ბარე 10 სანტიმეტრით და კლასით აღმატებულ დირკ ნოვიცკის ხელ-ფეხი გაუკავა. ნოვიცკიმ იმ თავისი 16 ქულიდანაც 11 საჯარიმოებით მიითვალა, თორემ გერმანელს სროლები რომ არ წაუვიდა და თამაშში 14 ცდიდან 12 რომ გააცუდა, მეტწილად სწორედ პოუზის დამსახურებაა.

ვერ ივარგა ჯოშ ჰოვარდმაც, რომელმაც 9-დან 8 სროლა გააფუჭა და ნოვიცკისგან განსხვავებით, ვერც საჯარიმოები მოინადირა. ხოლო როცა ორი ასეთი მოთამაშე მეტოქეთა დამცველების ხელების ტყეში იკარგება, „დალასი“ საჩემპიონო ჯახში „მაიამის“ კი არა, რეგულარულ ჩემპიონატში „შარლოტ ბობქეთსს“ ვერას დააკლებს.

პოუზის დარად, ბლომად ქულები ვერ იხვეჭეს სხვა მაიამელმა სამარქაფოებმა, მაგრამ დაცვაში კი სანაქებოდ ითამაშეს სახელიანმა ვეტერანებმა გერი პეიტონმა და ზო მურნინგმა. ამ უკანასკნელმა ფარქვეშა სივრცე დევშაკზე საიმედოდაც შეკრა და 14 წუთში 6 მოხსნა და 3 დაფარება გაახერხა.

დალასელებს კი არაფერი გამოსდიოდათ და სხვაობაც განუხრელად მატულობდა. პირველი ტაიმის 10 ქულით მოგების შემდეგ „მაიამი“ მესამეში 18-თაც გაიჭრა და მეტოქე საბოლოოდ მოშალა. დალასელთა სათადარიგომ ჯერი სტეკჰაუსმა ერთ ეპიზოდში ხელებში ისეთი სთხლიშა შაკილ ონილს, ხალხმა იფიქრა, დევშაკი მიუბრუნდება და ნაკუწებად აქცევსო, მაგრამ გოლიათი მაიამელი უხასიათოდ არ გახლდათ — მის გუნდს ხომ თავი ქუდში ჰქონდა — ჰოდა, შეიწყნარა სტეკჰაუსი, რომელსაც ფინალის პირველ თამაშში თვითონაც მოსდო ცხვირში. ნამატჩევს ონილი ამ ეპიზოდის თაობაზე ხალისობდა კიდეც — ეს რა დარტყმა იყო, ჩემი გოგონები უფრო ძლიერად მირტყამენ, შინ რომ მივდივარო — „მე ძველი სკოლა მაქვს გამოვლილი. უკანასკნელი მოჰიკანი ვარ. ასეთი დარტყმები კარგადაც მოქმედებს, უფრო ვენთებით და ვიმუხტებით.“

მესამე მეოთხედის შემდეგ მართლაც კიდევ უფრო გადაირივნენ მაიამელები, ბოლო 12-წუთეულში მხოლოდ 7 ქულა ჩაგდებინეს თავგზააბნეულ დალასელებს, რაც ფინალების ყველა დროის ანტირეკორდია. საბოლოოდ „დალასი“ 24 ქულით განადგურდა და გვარიანად გაიმრუდა საჩემპიონო გზა. მეხუთე თამაშსაც ხომ „მაიამი“ მასპინძლობს 18 ივნისს და თუ ეს თამაშიც მასპინძლებმა მოიგეს, „დალასს“ მერე მართლა სასწაული თუ უშველის, რომლის შემოქმედების ნიჭი დირკ ნოვიცკის, ჩანს, ცოტა დაუჩლუნგდა.

საქართველოს ვეტერანი ქალი კალათბურთელები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სპორტის ოსტატი კალათბურთში ეთერ (მაყვალა) კვინიკაძე და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს

კრივი

დავით ცერცვაძე, დავით ნამგალაური და პეტრე ცისკარიშვილი

პირველი პრესრაუნდი

მოკრივეები პრობლემებს ივიწყებენ

მეორე თვეა ქართული კრივის სათავეში ახალი ხალხი მოვიდა. პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტებისა და სხვა ჩინოსნების დანიშვნამდე ცვლილებები ნაკრებშიც მოხდა. მთავარი მწვრთნელის, თენგიზ მესხაძის ადგილი დავით ცერცვაძემ დაიკავა. ცერცვაძე და კრივის თავკაცები ჟურნალისტებს ოფიციალურად პირველად გუშინ შეხვდნენ. სპორტის დეპარტამენტში გამართულ პრესკონფერენციაზე ფედერაცია და ნაკრები ლამის მთელი შემადგენლობით გამოცხადდა.

პირველი სიტყვა, ცხადია, პრეზიდენტ *პეტრე ცისკარიშვილის* იყო: „ახალი მოსულები ვართ. ასე პატარა პერიოდში ბევრი რამის მოსწრება ძნელია, მაგრამ გარკვეული შედეგები უკვე სახეზეა. საქართველოს ნაკრები ახლახან რუმინეთში, A კატეგორიის ტურნირზე საკმაოდ კარგად გამოვიდა. წინ ორი შეკრებაა. ივლისის შუა რიცხვებში კი გუნდი ევროპის ჩემპიონატზე გაემგზავრება. იმედია, მედლებიც იქნება".

რუმინული ტურნირი ცერცვაძემ და ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ვოვა ახალკაცმაც შეაფასეს. ათიდან რვა ქართველის მეოთხედფინალში გასვლით და ჯამში მოპოვებული სამი მედლით ორივე კმაყოფილია. ნაკრების ახალგაზრდა წევრების პოტენციალსაც ოპტიმიზმით უყურებენ და მთავარი, ფედერაციის მხარდაჭერის ფონზე უკვე სერიოზულ წარმატებებზე ფიქრობენ.

ფინანსური მხარდაჭერა მოკრივეებს .სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ *დავით ნამგალაურმაც* აღუთქვა: „ფედერაციის ერთი თვის ნამუშევრით კმაყოფილები ვართ. კარგია, რომ ძველი პრობლემები აღარ არსებობს. პერსპექტივაც სახეზეა და ჩვენც მაქსიმალურად ვეცდებით, ხელი შეგიწყოთ. უკვე სახელფასო განაკვეთებსაც გადავხედეთ. მონდომება და შრომა ყველას დაუფასდება".

ნამგალაურმა და ცისკარიშვილმა სამომავლო გეგმებზე საუბრისას პირველად კრივის პოპულარიზაცია და მასში მეტი ბავშვის ჩართვა ახსენეს. სამომავლოდ საქართველოს რამდენიმე რეგიონში ახალი ბაზების გახსნა აქედანვე გადაწყვეტილია. 2007 წლის სეზონისთვის შედგება კალენდარიც, რომელშიც ყველა ასაკის ნაკრებების შიდა თუ საერთაშორისო ტურნირები შევა. იდეაშია თბილისში „პრეზიდენტის თასის" ჩატარებაც, რომელზეც ყველა ძლიერი ქართველი მიიღებს მონაწილეობას. ცისკარიშვილის თქმით, თუკი აქამდე უცხოეთში ჩვენი დელეგაცია შეთხელებული შემადგენლობით დადიოდა, ახლა სრული გუნდი ივლის.

ნაკრების უახლოესი გეგმა კი ბაქოს შეკრებაა. ცერცვაძის გუნდი ევროპირველობისთვის უკეთ მოსამზადებლად აზერბაიჯანში ზეგ გაემგზავრება და იქაურ ნაკრებთან ერთად 16 დღე ივარჯიშებს. თბილისში დაბრუნებულები ერთი კვირით აქვე შეიკრიბებიან. ევროპირველობის მასპინძელ ქვეყანაში, ბულგარეთში კი ათკაციანი შემადგენლობით 13 ივლისს ჩავლენ.

ოთარ მაღლაკელიძე

წყალში ხტომა

ჭოლა ჭანტურიას მეტრიანი ბრინჯაო

წყალში მხტომელთა ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის წინ გერმანიის ქალაქ ვალტკრაიბურგში შესაბამისი ასაკის სპორტსმენთა საერთაშორისო ტურნირი ტარდება, რომელშიც ევროპელთა გარდა ჩინელებიც იღებენ მონაწილეობას.

ვალტკრაიბურგში ქართველებიც ასპარეზობენ და გუშინ მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში 19 წლამდე ასაკის სპორტსმენთა შორის თავი გამოიჩინა თბილისელმა ჭოლა ჭანტურიამ, რომელმაც III ადგილი დაიკავა.

ჭოლას ეს წარმატება მით უფრო დასაფასებელია, რომ იგი 16 წლისაა და მისი თანატოლნი ვალტკრაიბერგში თავიანთი შესაბამისი ასაკის სპორტსმენებში იბრძვიან, თბილისელმა კი ორი წლით უფროსებში სცადა ძალა და საპატიო კვარცხლბეკზეც ავიდა. მის ზემოთ მხოლოდ გამარჯვებული გერმანელი იოჰანეს დუნაი და რუსი ევგენი კუზნეცოვი დადგნენ.

ავთანდილ ჭყვიშელი

ავტორბოლა



ფლავიომ ფიზიკო დაიტოვა

იტალიელ მეფორმულე ჯანკარლო ფიზიკელას, როგორც მოსალოდნელი იყო, „რენოს" ხელმძღვანელობამ „ნდობის მანდატი" გაუხანგრძლივა.

33 წლის რომაელი ფრანგული ავტოგიგანტის საპირველფორმულო საჯინიბოს შემადგენლობაში მეორე სეზონს ატარებს. შარშან ერთი მოგებითა და ჯამში 58 ქულით ოცპილოტიან პელეტონში საპატიო, მეხუთე ადგილი დაიკავა, რაც მის ათწლიან კარიერაში საუკეთესო შედეგია.

ფიზიკოს მიმდინარე ჩემპიონატში საქმეები უკეთესად მისდის — რვა ეტაპის შემდეგ შარშანდელზე ორჯერ მეტი, 32 ქულა აქვს და მაკლარენელ კიმი რაიკონენთან ერთად მესამე ადგილისთვის იბრძვის. ვნახოთ, იქნებ მეტისთვისაც.

ჯანკარლოს იტალიელი ბოსი ფლავიო ბრიატორე ქვეშევრდომის მუშაობით იმდენადაა კმაყოფილი, რომ უკვე გაუგრძელა კონტრაქტი 2007 წლის ბოლომდე.

აღსანიშნავია, რომ „რენო" ფიზკელასთვის ათწლიან კარიერაში მეხუთე გუნდია „მინარდის", „ჯორდანის", რენოელთა წინამორბედ „ბენეტონისა" და „ზაუბერის" შემდეგ.

როგორც ცნობილია, ფერნანდო ალონსო გაისად „მაკლარენ-მერსედესით" იქროლებს, „რენოში" მის ადგილს კი რაიკონენი ან მეორე ფინელი, ჰეიკი კოვალაინენი დაიკავებს.

ახალ კონტრაქტთან დაკავშირებით „რენოს" პრესცენტრმა ფიზიკელას მცირე ინტერვიუ გაავრცელა:

— ეს-ესაა ცნობილი გახდა, რომ მომავალ სეზონსაც „რენოში" გაატარებთ. რას გრძნობთ?

— ძალიან მოხარული ვარ, რომ ეს საკითხი ასე ადრე გაირკვა და შემიძლია, დამშვიდებულად მივაპყრო ყურადღება სეზონის მეორე ნაწილს, რომელიც უაღრესად მნიშვნელოვანი იქნება გუნდისთვის. მიხარია „რენოში" მუშაობის გაგრძელება, ამ გუნდში ფანტასტიკური ატმოსფეროა, ინჟინრებთან და მექანიკოსებთან შესანიშნავი ურთიერთობა მაქვს: „რენო" ჩემპიონატის საუკეთესო მანქანაა და ჩემთვის ყოველმხრივ მნიშვნელოვანი იყო ამ თანამშრომლობის გაგრძელება.

— უკვე იცით, ვინ გეყოლებათ პარტნიორად?

— ამაზე ლაპარაკი ჯერ ადრეა, მაგრამ ეს ძალიანაც არ მაღელვებს. დარმწუნებული ვარ, გუნდი საუკეთესო გადაწყვეტილებას მიიღებს, რაც ნიშნავს, რომ ის ჩემთვისაც საუკეთესო იქნება. ვინც უნდა იყოს ჩემი პარტნიორი, მე მისი არ მეშინია.

— ეს სასიამოვნო ცნობა გავლენას იქონიებს მომავალი გრან-პრისთვის თქვენს მომზადებაზე?

— უკვე გითხარით, რომ ბედნიერი ვარ მომხდარით და მოუთმენლად ველი მომავალ რბოლებს. მორალურად და ფიზიკურადაც ჩინებულ ფორმაში ვარ. მინდა, მადლობა გადავუხადო „რენოს" ხელმძღვანელობას ამ ნდობისთვის და ვაცხადებ, რომ ვიბრძოლებ კონსტრუქტორთა თასზე გუნდის ლიდერობის შენარჩუნებისთვის და პილოტთა ჩემპიონატში მაქსიმალურად მაღალი პოზიციის დასაკავებლად.

ჩოგბურთი

კაცები

„სტელა არტუა". ინგლისი. ბალახი. საპრიზო 800 000 $

მესამე წრე

რაფაელ ნადალი (1, ესპანეთი) — ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი) 2:6 7:6 7:6; ლეიტონ ჰიუიტი (8, ავსტრალია) — მაქს მირნი (ბელორუსია) 4:6 6:1 7:6; დმიტრი ტურსუნოვი (15, რუსეთი) — იუ-ცუ ვანგი (ტაივანი) 6:3 3:6 6:1; ტიმ ჰენმანი (ბრიტანეთი) — ნიკოლა მაჰუ (საფრანგეთი) 6:3 6:4; ფერნანდო გონსალესი (6, ჩილე) — მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) 6:2 3:6 6:3; ენდი როდიკი (3, აშშ) — პარადორნ შრიჩაპანი (16, ტაილანდი) 7:6 6:3; ჯეიმს ბლეიკი (5, აშშ) — რობი ჯინეპრი (9, აშშ) 6:3 3:6 6:3; გაელ მონფილზი (13, საფრანგეთი) — ივან ლიუბიჩიჩი (2, ხორვატია) — 7:6 7:5

მეოთხედფინალი

ჰენმანი — ტურსუნოვი 6:3, 7:6; ბლეიკი — მონფილსი 6:1 (უარი); ჰიუიტი — ნადალი 3:6 6:3 (უარი); როდიკი — გონსალესი 6:4 6:3

კაცები

ჰალე. გერმანია. ბალახი. საპრიზო 800 000 $

მეორე წრე

როჯერ ფედერერი (1,შვეიცარია) — რიშარ გასკე (საფრანგეთი) 7:6 6:7 6:4; ოლივიე როხუსი (7, ბელგია) — მარატ საფინი (რუსეთი) 4:6 6:4 6:1; რობინ სოდერლინგი (შვედეთი) — ანდრეი პაველი (რუმინეთი) 4:6 6:3 6:0; ტომი ჰაასი (6, გერმანია) — ანდრეა სეპი (იტალია) 6:1 6:2; ტომაშ ბერდიხი (5, ჩეხეთი) — ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი) 6:3 6:7 7:5; ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) — არნო კლემანი (საფრანგეთი) 6:4 7:6

მეოთხედფინალი

ფედერერი — როხუსი 6:7 7:6 7:6; ბერდიხი — სანტორო 7:5 7:6; ჰაასი — სოდერლინგი 7:5 6:4; კრისტოფ ვლიგენი (ბელგია) — ფლორინ მაიერი (გერმანია) 6:3 6:7 6:4

ქართულქალური დასასრული

მეორე და მორჩა, მეტ შვილს ვერ გავაჩენო — ასეთია თანამედროვე ქართული ოჯახების უმრავლესობათა გამრავლებითი ტენდენცია. ამ ტენდენციას, ყოველ შემთხვევაში, ამ კვირაში, ჩვენმა ჩოგბურთელმა ქალებმა თავისებურად აუბეს მხარი და შეთანხმებულებივით, დედამიწის სულ სხვადასხვა კუთხეში მიმდინარე ტურნირებზე თამაში მეორე წრეში დაასრულეს.

იტალიური გორიციის თასზე მეორე ნომრად განთესილმა მაკა ჩახნაშვილმა 3:6 2:6 წააგო ესპანელ მატილდა მუნოს-გონსალესთან, სალომე დევიძემ ამერიკული ალენტოუნის ჰარდზე 5:7 4:6 დათმო მექსიკელ მელისა ტორეს-სანდოვალთან, ხოლო კორეული ინჩონის ჰარდზე ანა ტატიშვილი 3:6 6:7 დამარცხდა ტაივანელ სუან ჰვანგ ისთან.



სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge